

პირველი

საქართველოს
საბავშვო



№ 10
1929

სახეგვარი

83

ჩვენ მოვითხოვთ

ჩვენ მოვითხოვთ გაუმჯობესდეს ჩვენი სკოლა, გახდეს ის ნამდვილი შრომის სკოლა. ყოველ სკოლაში უნდა იყოს სახელოსნოები. ახალი სკოლების აშენების დროს აუცილებლად უნდა დაეთმოს ადგილი სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუშაობისათვის.

მილიონი მანეთები უჯდება სახელმწიფოს მოწაფეების ჩამორჩენილობა. ამასთან საბრძოლველად ყოველ სკოლას უნდა მიეცეს პატარა თანხები სასწავლო ოთახების მოწყობისათვის, სახელმძღვანელოების საყიდლად.

ლარიბების და პატარა ხელჯანის მქონე მშრომელების ყველა ბავში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხსაცმლით, ტანისამოსით და სახელმძღვანელოებით. ეს საშუალებას მისცემს მათ დაასრულონ სკოლა და არ მიანებონ სწავლას თავი მუთა გზაზე. ყოველ სკოლაში შემოდებულ უნდა იქნეს ცხელი საუზმე.

უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ ბავშვთა შრომის დაცვის კანონების დამრღვევნი და გაუმჯობესდეს მეთვალყურეობა მათ შრომაზე.

პირობას ვიძლევით ავიღოთ ჩვენს ხელში მომუშავე ამხანაგების დაცვა და დავიფაროთ ისინი ექსპლოატაციისაგან.

საჭიროა გაიფიქროს საბავშვო წიგნი და სახელმძღვანელო. დღეს ისინი ძალზე ძვირია და ბავშვების დიდი უმრავლესობა ვერ იძენს მათ. უნდა გადიდდეს საბავშვო ბიბლიოთეკების რიცხვი და მათთვის მეტი თანხა გადაიდოს წიგნების შესაძენად.

ჩვენ ვიძლევით პირობას შეეიტანოთ წიგნი სოფელში, გავაფართოოთ წიგნის მტარებლობა.

უნდა გამოიცეს კანონი ბავშვთა მოედლების მოსაწყობად ყველა თავისუფალი ბაღისა და მოედნის (ქალაქად და სოფლად) გაცემის შესახებ. ვიძლევით პირობას დაერაზმოთ შეუკავშირებელი ბავშვები და გამოვაცალოთ ისინი ხელიდან ქუჩას.

უნდა დავეხმაროთ ბავშვთა ტურიზმს და ბანაკებს — მივცეთ ბავშვების შეკავშირებულ ჯგუფებს შეღავათიანი მგზავრობის შესაძლებლობა და იაფი შენობები. ჩვენ ვიძლევით პირობას მოვემზადოთ ფიზიკურად მაგარ და ჯანსაღ თაობად.

საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა უპატრონობასთან, უპატრონო ბავშვებისათვის მოეწყოს შრომის ახალშენები, მივიღოთ ზომები მოზრდილების კოლმეურნეობებში ჩასაბმელად.

გაეწიოს დახმარება საბავშვო თეატრებს და კინოს, მკაცრად ვადევნოთ თვალყური, რომ ბავშვები არ უყურებდნენ ბავშვებისათვის აკრძალულ სურათებს.

დავეხმაროთ მოსკოვში ბავშვებს საკავშირო შეკრების მოწყვევას.

ჩვენ ვაძლევით საბჭოების საკავშირო ყრილობას პიონერულ დაპირებას — ყოველთვის და ყოველგან დავეხმაროთ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ხელი მოვკიდოთ ყოველგვარ მუშაობას, რასაც კი დაგვავალებთ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ბავშვთა კვირეული — ლექსი — გ. შალვაშვილის	88.	9. ვაზეთი	88.
2. გოჩა — პიესა — ვ. კობელის	2.	10. სისხლიანი მამისობა ბერლინში — კ. მელაძის	14.
3. საზაფხულო მუშაობა — ელბ. გეგენავასი	5.	11. ფაშისტური ორგანიზაცია „ბალილა“ იტალიაში	14.
4. ენგურს — ლექსი — შ. შამფრანის	5.	12. მეცნიერება და ტექნიკა	15.
5. მეგობრები — ნ. გორდაძის	6.	13. ჩვენ მოვითხოვთ — გარეკანის მეორე გვერდზე	
6. გასროლა — ვ. არჩვაძის	7.	14. კედლის გაზეთებო, მოემზადეთ პიონერული ბანაკობისათვის — გარეკანის შესაბამე გვერდზე	
7. ბავშვთა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა — სანის	9.	15. სამხედრო-ქიმიური თამაში — გარეკანის მეოთხე გვერდზე.	
8. ვებრძოლოთ მავნე ჩვევებს (სურათები)	11.		

329.153(05)
3-47.

მუხათა კლასის საქმისათვის იყავ მჯალი




პ ი ო ნ ე რ ი

1929

31 მაისი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურე-
ვების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური
კულტურის მთავარმართველდობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 10



მოდინ ერთად დარაზმულები,
მათი გულეები ხალისს იტევენ.
ლენინელების მწყობრი რიგები
სიცხით დაფარულ ქუჩებს მისდევენ.

მათ კარგად ესმით, როცა მამები
მოუყვებიან წარსულის ამბებს,
თუ რა სიმკაცრით იყვნენ ტანჯვაში
და გულში ჰკლავდენ წამებას იმდენს.

ის მაცხოვარი, რომელიც ეხლა
ვირზე საცინლად ატოკებს ფეხებს,
თურმე სოფელში ჯვრებით, ხატებით
ართმევდა საარჩოს ოფლის მღვრელ გლეხებს.

მათი გულეები ხალისს მოდენის,
ქურას მოსდევენ გაშლილ დროშებით.
და თან ფიქრობენ: „ცოტა კიდევ და
ჩვენც საბრძოლველად შევიმოსებით“.

მამებმა წინად ბევრი იტანჯეს,
როცა ჩვენშიაც მონობა იწვა.
ციმბირის გზები გათელეს ფეხით,
სისხლის ზოლებით შეღებეს მიწა.

სმენა! დღეს ჩვენ ხომ ბრძოლის გული გვაქვს!
ასე ურყევლად ყოვლთვის ვიაროთ
და დაუნდობლად ტყვიის წარღვებით
მტრებს ვუპასუხოთ სამაგიერო.

ქუჩებსა ზარავს ჩვენი ხმა მკვეთრი,
სცემს ბარაბანთან ჩვენი გულია.
დაჰკა, მუსიკავ, ბრძოლის ჰანგები—
ეს მშრომელ ბავშვთა კვირეულია.

დღეს მათი გული ხალისს მოდენის,
ქუჩებს მისდევენ გაშლილ დროშებით
და თან ფიქრობენ: „ცოტა კიდევ და
ჩვენც საბრძოლველად შევიმოსებით“.

გ. შალვაშვილი.

გ მ რ ა *

პიესა 4 ეპიზოდად, საბავშვო თეატრებისა და სოფლის სცენებზე დასადგმელად.

მოქმედნი:

დათო — სოფლის მასწავლებელი.

სიღონია — დათოს მეუღლე.

გოჩა

მარო

გურამი

გიგლა

ფილო

სიკო — მეეტლე.

ნანობა — თეთრების აგენტი.

ჩახბაზურ — მეღუქნე.

წიკპურტა — სოფლის მწერალი.

თავადაძე — ჩოხოსანი.

უფ. ჩაფარი

გივარგი — მამა გოჩასი.

ადიუტანტი თეთრების

გიალო — გივარგის მეგობარი.

მიტრიჩი

პლიოვკინი } თეთრების შტაბის მწერლები.

ბურვაკაძე — თეთრების პოლკოვნიკი.

ბავშვები, გლეხები, რევოლუციონერები, მგზავრები და ჯარისკაცები.

პირველი ეპიზოდი.

პატარა ოთახი დათოს სახლში, უკან კედელთან ბუხარი, მასთან მაგიდა. სიღონია ფუსფუსებს, არჩევს სანოვავებს. იქვე კალათი, ტომარა და სხვ. დათო დგას ფანჯარასთან და აბოლებს ჩიბუხს. კაშკაშა მზიანი დღეა. კულისებში ისმის ბავშვების ყრიაშული. ხმაურობა თანდათან მიწყდება (მთელი ეს მოქმედება შეიძლება ეზოში იქნას გადატანილი, სადაც ბავშვების გართობა უკეთ მოეწყობა).

სიღონია და დათო.

სიღონია. ერთი ეს მითხარი, როდის მორჩები ამ უპატრონო, ქუჩაში მოხეტიალე ბავშვების შენ სახლში შეკრებას.

დათო. კიდევ მოჰყევი წუწუნს!?

სიღონია. ნუ მოჰყევი წუწუნს, როდესაც მ სული გვაწვევს კისერზე და ჩვენ კი ყოველგვარი მარავი გაგვითავდა. აბა მითხარი, რით გამოგვეგობოთ ისინი?

დათო. ვის გაუგონია ყოველთვის ერთსა და იმავეზე ლაპარაკი. ერთხელ და სამუდამოდ იცოდე, რომ მე ბავშვებზე მზრუნველობა ჩემი მცირეოდენი შესაძლებლობით არასოდეს არ მომბეზრდება. შენ კა დღესვე წაიყვანე სიკო და იყიდე სურსათ-სანოვავე, რაც კი საჭიროა.

* ე. კობელის პიესა „გოჩა“ ერთადერთი ქართული ორიგინალური საბავშვო პიესაა, რომელიც მოწონებულია მთავარხელოვნების მიერ საბავშვო თეატრისათვის.

„გოჩა“ ოცჯერ დადგეს ნორჩ მსუბუქებელთა სახელმწიფო თეატრში და ყოველთვის წარმატებით მიდიოდა. პიესა იდეოლოგიურ-მხატვრულად და სცენიურად დამაკმაყოფილებელია.

პიესას ჩვენს ქურნალში ვათავსებთ, რომ ზაფხულში პიონერებმა და მოწაფეებმა კოლექტივის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა დახმარებით ადგილებზე საკუთარი ძალებით დასდგან ის სოფლის სცენებზე, ბანაკად, კლუბებში და სხვ.

რედაქცია.

სიღონია. სად მოგვეპოვება იმდენი, რომ ამ სიძვირეში შევიძინოთ!? არ ვიცი, სწორედ, საიდან უნდა გამოვნახოთ იმდენი საშუალება, რომ დაეძლოთ ეს ჯოჯი პატარა მკამელებისა?! ან და რად გინდა ისინი?.. იქნებ გგონია, რომ მაგ ქველმოქმედებისათვის ვინმემ მადლობა გადაგიხადოს როდისმე?

დათო. მე მაინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ ქუჩაში დატოვებულთა ბედი. რაც შეეხება ვისიმე აზრს ამის შესახებ, არავითარი სურვილი არა მაქვს მოვისმინო, განსაკუთრებით კი ვისიმე მადლობა.

სიღონია. ქუჩაში დატოვებულთა... მერე და ვინ მიატოვა ისინი ქუჩაში, ჭირმა ამოსწყვიტა მათი მშობლები?!

დათო. ისინი კარგი მომავლასათვის იხოცებინან.

სიღონია. კარგი იმათ მოუვათ, რაც კარგი არ იყოს მათი საქციელი! უღმერთობა მიატოვეს თავისი შვილები და თვითონ კი მეფის ღენერლებს ებრძვიან. მოასურვეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მათ მიატოვეს თავისი შვილები და შენ კი შენი გულკეთილობით მთარველობ მაგ ბარტყებს.

დათო. ახლა კი გადააჰარბე, სხვა არა იყოს რა. ნუთუ აქამდე ვერ გაიგე, რომ ისინი კომუნისტები არიან, ისინი თავსა სწირავენ სხვებისათვის, იმათ ბრძოლაში სიკვდილი იციან და ეს კი, ჩემო სიღონია, მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ.

სიღონია. დიდი ადამიანები!

დათო. და ან რა შუაში არიან აქ ბავშვები, რად უნდა დაიღუპონ უდანაშაულო ბავშვები შარავზებზე?! ნუ იქნება, ჩემო ბებრუხანავ, ბოროტი, ეგ შეურაცხყოფს ჩვენს ჭკალარას.

სიღონია. ღმერთო ჩემო, განა ჩემი გული კო, მათი შემყურე, არ იესება სისხლით!? გურამი, გოჩა, მარო... რამდენია, რამდენია სადარდებელი! ყველაფერი საშინლად ძვირდება, ცხოვრება სულ ძნელდება, და არც ის ვიცით, რა მოხდება ხვალ.

მ ა რ ო.

მარო (ფანჯარასთან). ძია დათო, დეიდა სიღონია! (ქშენით) თეთრები შეტევაზე გადმოვიდნენ, ბოლშევიკებზე გამოილაშქრეს!..

სიღონია (შეშინებული დაეშვება საეარძელზე). ღვთისმშობელო!..

დათო. რაო, რა მოხდა?

მარო. თეთრები იხვევენ უკან, ჩვენი სახლისაკენ!..

სიღონია. უფალო... ბავშვებს რაღა ეშველებათ?!

მარო. თეთრებს წინამძღოლს კარგად მისცხეს და ამის გამო მიატოვა მებრძოლთა რიგები... მის მაგიერ გურამმა იკისრა წინამძღოლობა, მაგრამ ჩვენი ახალი შვილობლის გოჩას ხელმძღვანელობით თეთრები დამარცხებული დარჩნენ.

სიღონია (მიხვდა ხუმრობას). განა შეძლება ადამიანის ასე შეშინება!?



მარო. ისინი ამ წუთას აქ გაჩნდებიან, საპონი მო-
უმზადე, დეიდა, საპონი. თავიდან ფეხებამდე
სულ დასაბანები არიან. ისინი ნახშირის სა-
წყობთან იბრძოდნენ და შეგიძლიათ წარმო-
იდგინოთ, რას ემგვანებიან.

(ბავშვების ხმაურობა ძლიერდება)
დათო. ახლავე დაუძახე გოჩას და გურამს. იგ ძალიან
ცუდი გასართობია. ბავშვები არ უნდა მიე-
ჩვიონ სიმკაცრეს.

სიდონია. აი, ინებე და იყავი ამის შემდეგ მოსვენებით:
ყოველდღე თითო რამ! (ბავშვების ხმაური უკ-
ვე სახლთანაა).

დათო (ფანჯარასთან). გოჩა, გურამ, შემოდით სახლ-
ში!.. თქვენ იგ რა ბრძოლა გაგიმართავთ,
ან ვინ გამოიგონა იგ ახირებული გასართობი?

მარო (შემოდინა გურამი და გოჩა, გაჩერდებიან კა-
რებში). დეიდა, გენაცვალე, საპონი...
სიდონია. დამანებე თავი, ცელქო, ისა სჯობია, წახვი-
დე და მეეტლე სიკოს დამიძახო. ხომ იცი,
რომ სურსათი სრულიად გაგვითავდა.

გოჩა } უბრალო ტანსაცმელში, რომელიც დასვრილი
გურამი } და გამურულაა; ორივენი ფხვნიშველი არიან
და სახეც მოთხვრილი აქვთ.

დათო. აბა, მოდით ახლო, მიამბეთ, რა მოგიხდათ?
სიდონია. ღმერთო ჩემო, რას დამსგავსებიან!?

მარო. საპონი მოუმზადე, დეიდა, საპონი! (გადის)
გოჩა } მიუახლოვდებიან დათოს და წინ დაუდგე-
გურამი } ბიან).

დათო. გისმენთ.
გურამი. ჩვენ ვთამაშობდით ნახშირის საწყობთან, ცი-
ხეს ვაშენებდით, გოჩა და სხვა ბავშვები და-
გვესხენ და ჩვენი ციხის დანგრევა უნდოდათ.
მერე...

ზოჩა (აწყვეტილებს). არა, ეგრე არ იყო, ეგრე არა!..
ესენი აშენებდნენ თეთრების სახრჩობელებს...
მერე გურამი მოგვვარდა და სხვებსაც დაუძახა
დაჰკარით კომუნისტებსო.

დათო. მერე, მერე?
გოჩა. მერე და ისა, რომ ჩვენ ამათ კარგა ლაზათია-
ნად მიცხეთ ჩვენი ბრალი არ არის, ჩვენ
ამათთან არა ვთამაშობდით... ამან ასტეხა
ყველაფერი.

დათო. ოჰ, ოჰ... მერე რა მოხდა?
გოჩა (შეშფოთებული). მერე გაიმართა ფიცხელი
ბრძოლა, და ჩვენც დავბეჩეთ ესენი... კომუ-
ნისტები ყოველთვის ამარცხებენ თეთრებს.

დათო. მერე, იგ შენ საიდან იცი?
გოჩა. ვიცი. მე ვიყავი მათთან.

დათო (გურამს). აბა, იგ რა გასართობებია — ციხე,
სახრჩობელები, ბრძოლები!? ეგენი არ მომ-
წონს, ჩემო ბავშვებო.

გურამი. ჩვენ ჩხუბი არ გვინდოდა... ჩვენ მხოლოდ
ვთამაშობდით, ციხეს ვაშენებდით და ესე-
ნი კი...

გოჩა. მართალს არ ამბობ, შენ მომვარდი!..
დათო. კარგი. თქვენ ორნივე დამნაშავე ხართ. რა
საჭიროა ერთიმეორის ცემა, განა მაგით
თქვენს თავს სიკეთეს მოუტანთ?! თქვენ მტრე-
ბი არა ხართ ერთმანეთის,

გოჩა. დიად, მაგრამ ესენი თავს გვესხმიან...
დათო. დაჩუმდი, გოჩა. მე არა მსურს, რომ თქვენ
შორის ეგეთი არასასიამოვნო ამბავი ხდებო-
დეს... ახლა კი წადით და ტანსაცმელი მოი-
წესრიგეთ... თუმცა გოჩა დარჩეს ცოტა ხნით...
(გურამი გადის).

სიდონია. ერთი შეხედე ამას, შეხე, რასა ჰგავს!?
დათო (მიუახლოვდება გოჩას, მხარზე ხელს დაადებს,
აუწყვეს ნიკაპს და ჩასცქერის თვალებში).
კომუნისტები ყოველთვის ამარცხებენ თე-
თრებს?

გოჩა (ცოცხლად). ყოველთვის!
დათო. შენც გინდა თეთრებთან ბრძოლა?
გოჩა. დიად!
დათო. ტყუილად, ჩემო ბავშო. სიმკაცრე ცუდი გრძნო-
ბაა ბავშვებისათვის. როცა გაიზრდები, მაშინ-
ნაც მოასწრებ უსამართლობასთან ბრძოლას.
(თავჩალუნული დგას)

გოჩა რატომ არ მიპასუხებ, გოჩა?
დათო. მე მინდა კავკავში წავიდე.

სიდონია } კავკავში?
დათო }

გოჩა. დიად, მინდა წავიდე იქ, სადაც იბრძვის მა-
მაჩემი, სადაც იბრძვიან მუშები და გლეხები!..
სიდონია. გადირია!
დათო. დამშვიდდი, ჩემო გოჩა. აბა, რა შენი საქმეა
იქ ყოფნა, შენ ვერ გაბედავ იქ წასვლას.
(შემოდის სიკო)

გოჩა. მე უნდა წავიდე კავკავში! (უნდა გაიქცეს,
მაგრამ კარებში სიკო გადაელობება და შეაჩე-
რებს)
სიკო. ოჰო, ძალიან გულადი კი ყოფილა ეს ყმაწვი-
ლი, ჩვენ, მგონია, ცხვარბიც ველარ გავყოთ
გარეთ.

დათო. რამ შეგაშინა ეგრე, სიკო?
სიკო. რალა რამ შეგაშინა, შენი ჭირიმე, გუშინ
ძლივსლა გამოგუსხლტი ღენერლის ჯარს, და-
მიჭირეს, იქნებ კომუნისტიაო...

დათო. მერე, როგორ დააღწიე თავი?
სიკო. როგორ და ყველაფერზე უარი ვთქვი, შენი
ჭირიმე, არა ვარ მეთქი კომუნისტი... სხვა-
ფრივ ვერ გადავურჩებოდი იმ წყეულებს და
წვრილშვილი ობლებად დამრჩებოდა.

დათო. მართალია, მართალია.
სიდონია. დედაო ღვთისმშობელო!..
სიკო. დიდაც, სწორედ დამხვრეტდნენ, ან ხეზე ჩა-
მომკიდებდნენ... ისინი არავას არ ინდობენ,
არც დიდსა და არც პატარას... თეთრების
ღენერალს ბრძანება გაუცია, არცერთი ტყვე
არ დარჩეს ცოცხალიო და ისინიც...

დათო. ღენერალმა გასცა ბრძანება, რომ ტყვეები
ალარ შეინახონ ცოცხალი?.. ძვირფასო საკო,
იქნებ შენ სწორედ ვერ გაიკონე?
სიკო. არა, ჩემო დათო, მე ჯერ კიდევ კარგი სმე-
ნა მაქვს...

დათო. საზიზღრები, არამზადები!..

სიკო. დღეს თუ ხვალ, ეს ჩვენი სოფელიც ბრძოლის ველად გადაიქცევა. მე დღესვე ვაპირებ მოვაცილო სადმე ჩემი ოჯახი და ცხენები. თქვენც ამასვე გირჩევთ, ააცდინეთ როგორმე განსაცდელი თქვენს ბარტყებს.

სილონია. ღმერთო ჩემო! სად წავიყვანო ისინი, რა უნდა ვქნა?

დათო. დამშვიდდი, დამშვიდდი, სილონია. ბავშვებს სარდაფში მოგვათავსებთ, მისი კედლები იმდენად სქელია, რომ ზარბაზნის ყუმბარასაც კი გაუძლებს... ახლავე უნდა მოვაწესრიგოთ სარდაფი.

სილონია. თქმა ადვილია, ახლავე. სად უნდა წავიღო იმდენი ბარგი-ბარხანა?

გიგლა. მეც ბოლშევიკი ვარ, მაშა... რა ვქნა, რატომ ხმას არ იღებ, ხომ არ დამუნჯდი?... ბიჭებო, დამუნჯებულა, ველარ ლაპარაკობს...

მარო. ააა! ახლა კი მივხვდი... აი, თქვე ბუტიებო! ბიჭებო, შევარიგოთ, შევარიგოთ!

ყველანი. შევარიგოთ, შევარიგოთ!

მარო. გურამ, მოიტა ხელი. შენი ხელიც, გოჩა... (შეარიგებენ)

ფილო. აბა, ჩქარა ჩაპროშტე, გურამ, შენი ბრალი იყო, შენი...

გურამი. მაპატიე, გოჩა, აღარ წაგეხშებები... მე სხვებმა წამაქეზეს. (აპატიებს)

გოჩა. მე მინდა ქალაქს წავიდე, კავკავში, სადაც ჩვენი მამები არიან.



ტფილ. 1 საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლასთან არსებული ამხ. ლ. სუხიშვილის სახ. ნ/პ კოლექტივი.

დათო. მე თვითონ ჩივალაგებ, ყველაფერს მე მოვაწესრიგებ... შენ კი წულარ აგვიანებ, გაჰყვივი სიკოს და ყოველგვარი სურსათი დღესვე შეიძინე... სიკო, ეტლი ხომ მზად გაქვს?

სიკო. ისევ შებმული მყავს, შენი ჭირიმე.

დათო. მაშ ახლავე გაუდექით გზას... (სილონია და სიკო კალათებით გადიან) მე კი ახლავ სარდაფში... შენ კი არ დამეხმარები, გოჩა?

გოჩა (რომელიც დაფიქრებული იდგა). მე... როგორ არა, დაგეხმარებით, ძია! (შემობიან ყვივლით ბავშვები)

დათო. გოჩა, სარდაფში, სარდაფში ჩქარა!..

მარო. რამ დაგაღონა, გოჩა?

ფილო ციხის აშენებაზე ხომ არ ფიქრობ? მე და შენ ხომ ბოლშევიკები ვართ!?

გიგლა. იქ წასვლა როგორ შეიძლება, იქ ხომ ომია...

ფილო. იქ მოგკლავენ გოჩა, არ წახვიდე.

ბავშვები. არ წახვიდე, არ წახვიდე, გოჩა!

გოჩა. უნდა წავიდე კავკავში!
(ღ ა თ ო)

დათო. როდესაც წითლები გაიმარჯვებენ. ჯერჯერობით კი სარდაფს უნდა ესტუმროთ ყველანი, თორემ თქვენს ნორჩ სხეულს შეიძლება უცაბედი ტყვია არ ასცდეს... ახლა კი წამოდით ყველანი და დამეხმარეთ სარდაფის მილაგებაში...

მარო. სარდაფში, ციხე-სიმაგრეში!

ყველანი (ძალით მიჰყავთ გოჩა). სარდაფში, სარდაფში!..
(გავრძელება იქნება)



საჯავახო მუშაობისათვის.

ნ/პ. კოლექტივებისათვის საუკეთესო მომენტი მუშაობის გასაცხოველებლად ზაფხულია. თუ სასწავლო პერიოდში ჩვენ გვიხდება კოლექტივის სამუშაო საათების შემცირება, რომ ზიანი არ მივაყენოთ სკოლის საერთო მუშაობას პიონერთა აკადემიური ჩამორჩენილობით, ამ მხრივ ზაფხულში უზრუნველყოფილი ვართ.

როგორც წარსული გამოცდილებიდან ვიცით, ზაფხულზე კოლექტივების მთელი რიგი ადგილებზე (განსაკუთრებით სოფლად) იშლება, პიონერები იფანტებიან და მეცადინეობა წყდება. ამის მთავარ მიზეზად შემდეგი უნდა ჩაითვალოს 1. კოლ-ხელმძღვანელებად ადგილებზე არიან არა ადგილობრივ მცხოვრები პირები—მასწავლებლები, რომლებიც საზაფხულო არდადეგებისას მიემგზავრებიან თავის სოფლებში და უპატრონოდ სტოვებენ კოლექტივებს, 2. პიონერთა უგეგმო მოძრაობა ერთი კოლექტივიდან მეორეში, 3. წინასწარ მოსამზადებელი კამპანიის ჩაუტარებლობა, რის გამო პიონერებმა არ იციან, რა დღეებში და რომელ ადგილას აქვთ მეცადინეობა, 4. პიონერთა ყოფა-ცხოვრების თავისებური პირობები (მთიან ადგილებში), მაგალითად, ზაფხულში მამებთან ერთად ტყეში საქონლის გარეკვა სამწყესავად. მაგ. კურზუში (სენ. მაზრა) პიონერები მიჰყვებიან თავის მამებს საქონლის სამწყესავად და არ ბრუნდებიან ორი სამი თვის განმავლობაში და სხ.

5 კ.კ უჯრედების მიერ სათანადო ყურადღება არ ექცევა პიონერთა საზაფხულო მუშაობას, ზოგიერთმა უჯრედებმა არც კი იციან, თუ სავალდებულოა პიონერთა კოლ. მეცადინეობა და მუშაობა ზაფხულში. ისინი ვერ ანსხვავებენ ამ მხრივ კოლექტივს სკოლისაგან.

რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ ასეთი მოვლენები და საზაფხულო მუშაობას სათანადო სახე მიეცეს, საჭიროა ყურადღება მიაქციონ ზემოაღნიშნულ პირობებს და თავიდან აიცილონ ხელის შემშლელი მიზეზები.

იმ ხელმძღვანელმა, რომელიც ადგ. მცხოვრები არ არის, საჭიროა კ. კ. უჯრედისაგან მოითხოვოს კოლექტივის ხელმძღვანელი ზაფხულის პერიოდისთვის (ან გამოიყენოს თანამემწე) და მისცეს კონკრეტული მითითებანი, თუ როგორ წარუძღვეს კოლექტივის საზაფხულო მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელმძღვანელები, რომლებიც უპატრონოდ დატოვებენ კოლექტივს, პასუხისმგებელი უნდა იქნენ სათანადო ხელმძღვანელი ორგანიზაციის წინაშე, როგორც მუშაობის დამმხინჯებელი.

დღემდე ვერ არის ყოველგან მოწესრიგებული პიონერთა მოძრაობა ადგილის მიხედვით, ჯმეტეს შემთხვევაში პიონერები კოლექტივიდან თავისუფლდებიან ხელმძღვანელის სიტყვიერი განცხადებით. საჭიროა ერთი კოლექტივიდან მეორეში მიმავალმა პიონერმა მიიღოს კოლექტივიდან სათანადო დავალებანი იქ მუშაობის საწარმოებლად და დაბრუნებისას ანგარიშის ჩაბარების სახით საუბარი ჩატაროს კოლექტივში მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივში პიონერები არათანაბრად იქნებიან მომზადებული.

საზაფხულო არდადეგების 15 დღით ადრე საჭიროა პიონერებთან ერთად კოლექტივის ხელმძღვანელმა დაამუშაოს საკითხი საზაფხულო მუშაობის შესახებ და პიონერებს მისცეს სწორი ცნობა სამეცადინო დღის, ადგილის და სახეების შესახებ.

ხშირად ზაფხულის პერიოდში ძნელი ხდება პიონერთა თავის მოყრა განსაკუთრებული საჭიროებისათვის, ამისათვის აუცილებელია რგოლის წინამძღოლს ჰქონდეს სწორი მისამართი მის რგოლში შემავალი პიონერებისა, რომ საჭიროების დროს სასწრაფოდ მოუყაროს თავი მათ.

კომკავშირის ორგანიზაცია უფრო მეტი სიფხიზლით უნდა მიუღდეს ამ საკითხს, არ არის საკმარისი ლიტონი ენით ხელმძღვანელობა, საჭიროა პიონერთა ორგანიზაციას უჯრედმა თავისი საზაფხულო სამუშაოებიდან მისცეს განსაზღვრული დავალებანი შესასრულებლად (მაგ. ხშირად კ. კ. უჯრედები სოფლად აწყობენ სალამო-წარმოდგენებს რომელიმე ნებაყოფლობითი ორგ. დასახმარებლად, პიონერთა ორგანიზაციამ კი ამის შესახებ არაფერი არ იცის, მაშინ როდესაც პიონერებს ამ დარგში ბევრი რამის ვაკეთება შეუძლიათ).

მთიან ადგილებში, სადაც ბავშვები თავის მამებს მიჰყავთ სამწყესურში; უნდა ჩატარდეს მათ მშობლებთან სათანადო საუბრები, რომ ბავშვები არ მოსწყვიტონ ოჯახს და კოლექტივს; საჭიროა ამავე დროს ნ. პ. სამაზრო ბიუროებმა, სადაც ასეთი პირობებია, უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ დარგში პიონერთა კოლექტივის ხელმძღვანელებს.

აი ეს ზემოაღნიშნული სიძნელეები შეხვდება ყოველ პიონერმუშაკს (განსაკუთრებით სოფლად) ზაფხულში და საჭიროა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება მათ დასაძლევად.

ენგურს

ტალღების გორებით მობორგავ, ენგურო!
კლდეს ანგრევ და ნგრევით ნაპირებს იკეთებ,
მგრვინავო! აგრერივ ყოფით ვის ერთვულობ!
დაძლევა, დატყვევება ჯერ ხომ არ იგემე!

იქ, სადაც ხევები პირლია ქვაბივით
არის და ამ ალაგს სახლობენ სვანები,
კეთდება დღეს გზა...

და მაშინ, ენგურო, შენც დაგატყვევებთ, და
დაგროვილ ზვირთებზე ავაგებთ ენგურჰესს,
მაშინ ხომ ნიადაგ დაბურულ ხევებთან
გაჩნდება მზეები, და ღამე იბარგებს.

დიდ საქმის მკეთებელი გახდები ენგური,
და მგზავრიც გიმღერებს მაშინ სხვა „ლილეს“ და
ქარხნებით იქნება ეს მხარე ქებული,
ადვილად მივალწვეთ დასახულ მიზნებსაც.

მეგობრები

ვახტანგი ძლიერ სწრაფად დაეშვა თავდად მართისაკენ. მას წინ მიუძღოდა წიგნებით ხელში პატარა არჩილი. უცბად არჩილს დაუსხლტა ფეხი და დაგორდა.

ვახტანგი შეშფოთდა, უნდოდა დახმარება გაეწია ბავშისთვის, მაგრამ თვითონაც უძნელდებოდა სიარული. დიდი სიფრთხილით განაგრძო გზა და ბოლოს დაეწია არჩილს. მის თვალწინ საშინელი სურათი იყო: არჩილს გატეხილი თავიდან თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი.

დაღონდა ვახტანგი, რადგან გაუძნელდა უგრძნობი არჩილის აყენება. უცბად მოესმა:

— ბიჭო, ვახტანგ, რას დამდგარხარ მანდ, შინ ჩაი არ დალიე მიგვიანდებოა და გზაში კი თამაშობ? გასწი მალე სკოლაში!

ვახტანგი მამის ხმას გაგონებაზე შეტოკდა:

— მამილო! ამ ბავშმა თავი გაიტეხა და მინდა გუშველო.

— რა მოუვიდა?

— ფეხი აუსხლტა.

— მაშ როგორ გგონიათ, ასეთ დროს ცეცქობა არ გამოგადგებათ გზაში.

— მამიკო! თუ ვუყუო, საავადმყოფოში წავიყვანო თუ სკოლაში წავიდე?

— სასწრაფო დახმარების ავტოს გამოვიძახებ; წადი სკოლაში და ამ ბავშს მე ვუპატრონებ.

— მაშ, მამილო, კარგად მოუარე, სანამ მისი მშობლები გაიგებდნენ.

სანდრომ ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია და არჩილი ხელში აიყვანა, ვახტანგმა კი გზა განაგრძო სკოლისაკენ.

ვახტანგს გაკვეთილების განმავლობაში ყოველ წუთს თავგატეხილი არჩილი უდგა თვალწინ. გაკვეთილები გათავდა თუ არა, მან მოკურცხლა საავადმყოფოსაკენ, მაგრამ გზაში მრავალი ცუდი წინაგრძნობა მოუვიდა თავში.

მალე საავადმყოფოც გამოჩნდა, და უფრო აუტოკდა გული. შევიდა შიგ თუ არა, მაშინვე არჩილის მშობლები დაინახა. ისინი აღფრთოვანებით შემოხვდნენ მას და დიდი მადლობა გადაუხადეს.

სალამოხანი იყო. არემარეს ბინდი გადაეკრა. ვახტანგმა კარი დაარახუნა. კარი საჩქაროდ გაიღო, და გაბრაზებული სანდრო გამოჩნდა. ეტყობოდა, ბევრი ეძებნა დაგვიანებული ვახტანგი.

— სად იყავი, ბიჭო, აქამდე? შენი გულისათვის ყველა შენი ამხანაგის ოჯახში ვიყავი, მაგრამ არცერთმა არ იცოდა, თუ სად წახვედი.

— სად ვუნდა წავსულიყავი, საავადმყოფოში ვიყავი არჩილთან, შემდეგ კი არჩილის მშობლებმა წამიყვანეს შინ.

ამ დროს ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა. „ვინა ხარ?“ — შეეკითხა სანდრო.

— ძია სანდრო, ვახტანგი შინ არის? მოისმა ქუჩიდან.

— შინ არის, შემოდი, ქუჩიდან რატომ იძახი?

— დრო არა გვაქვს, ვახტანგი გამოვიდეს ერთ წუთს გარეთ.

— ვინ ხარო, რომ ასე გრცხვენიათ შინ შემოსვლა, გარეთ ხომ გაცივდებით ასეთ ყინვაში.

ვახტანგმა გააღო კარი და თავისი მეგობრები დაინახა. მას ძალიან გაეხარდა, თანაც ამ დროს მათი მოსვლა გაუკვირდა.

— შემოდით, კარში რას დამდგარხართ?

ვანო და მიშა შევიდნენ სახლში, მიესალმნენ ვახტანგის მშობლებს და გავიდნენ მეორე ოთახში.

— ვახტანგ! ჩვენი შენთან მოსვლას მიზანია გაგაცნოთ ჩვენი ახალი მისწრაფება. დღეს ოთხ საათზე მივიღეთ სიკოს წერილი ლენინგრადიდან; გვწერს თავის მისამართს და ამასთანავე ძალიან გვთხოვს სამივე იქ წავიდეთ.

ახლა ამისთვის საჭირო არის ჩვენს მიერ საგზაო ფულის შეგროვება და როდესაც იქ ჩავალთ, დღიურად ვიმუშავეთ და საკმაო თანხას მოვაგროვებთ.

მართალია, ჩვენი გაპარვით მშობლები ძალიან შეწუხდებიან, მაგრამ არა უშავს.

ვახტანგი უკმაყოფილების ბურანში გაეხვია. მას უკვე თვალწინ წამოუდგა მათი მდგომარეობა შორეულ ქვეყანაში. თითქოს შიათ კიდევ და ფული არა აქვთ, რომ პური იყიდონ. ლამეა, მაგრამ სად დაიძინონ... მოაგონდა თავისი მშობლები და სკოლა...

— მართალია, თქვენი აზრი თქვენთვის თითქოს კარგია, მაგრამ, თუ დაუკვირდებით, დიდი მოუფიქრებლობაა. აბა, დაუკვირდით, რა ცუდი საქმეები უნდა ჩაიდინოთ: სკოლას თავი უნდა დაანებოთ, გაიპაროთ...

— კარგი, ვახტანგ, როგორც გეტყობა, შენ ჩვენი მეგობრობა აღარ გინდა.

— არა, ჩემო ვანო, მე ძალიან გულწრფელი მეგობარი ვარ თქვენი, მაგრამ ასეთ საქმეებში უღიღეს მტრად ვაგინდებით.

— მაშ ჩვენი გეგმა დაიშალა, არა? რა იმედი გვქონდა შენი! შენ ხომ ყოველ საქმეში მოხერხებული ხარ.



— არა, მეგობრებო, საქმეს დიდი დაკვირვება უნდა. იქ წასვლით ძალიან ინანებთ. ჯერ ჩვენთვის ეს აღწერა, ვისწავლოთ და შემდეგ შეიძლება ყველგან წავიდეთ, სადაც კი მოგვესურება.

ვახტანგის სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინა მეგობრებზე, იმათ შეცვლეს თავისი გეგმა და შეფიქრებულნი წავიდნენ შინისკენ.

— რატომ იყვენ, შეილო? — ჰკითხა დედამ ვახტანგს.

— ვანოს და მიშას ლენინგრადში უნდათ გაპარვა.

მან ყველაფერი დაწვრილებით უამბო მშობლებს. როდესაც დაათვა, სანდრომ უთხრა:

— რადგან ასეთი შორსმჭვრეტელი ყოფილხარ, აი რა გაჩუქო.

შემდეგ გავიდა მეორე ოთახში და ქალაქში შეხვეული რაღაც მისცა შვილს.

ვახტანგს ხელები უთრთოდა და ძლივს-ძლივობით გახსნა. ეს იყო ლენინის წიგნი, რომელსაც მშვენიერი ყდა ჰქონდა.

— აი, შეილო, შენი საყვარელი ლენინის წიგნი.

ასეთი სასიხარულო წუთი ჯერ ვახტანგს არ გამოუცდია. ის მივარდა მამას და მხურვალედ დაუწყო კოცნა, სანდროც აღფრთოვანებით შესცეროდა თავის ვაჟს.

ნალია გორდაძე.

გასროლა

(ვერა ზასულიჩის ბიოგრაფიიდან)

ათი წელიწადია მას შემდეგ (1919 წ.), რაც ლენინგრადში მოკვდა 70 წლის მოხუცი. მას ეძახდნენ ვერა ივანეს ასულს ზასულიჩს.

ახლანდელ ახალგაზრდებში ცოტას თუ გაუგია ეს სახელი, მათი მამებისა და პაპებისათვის კი ცნობილი იყო ვერა ზასულიჩის სახელი.

50 წლის წინად ვერა ზასულიჩის სახელი ქუხდა მთელს რუსეთში. ბევრს ლაპარაკობენ და წერდნენ მასზე საზღვარგარეთაც. უცნობ ახალგაზრდა გოგონას ერთნი ადიდებდნენ, როგორც დაუდევარ მებრძოლს დახვეწებული ცხოვრების წინააღმდეგ, მეორენი კა ბოროტმოქმედად სთვლიდნენ მას.

რა ვაკეთა ვერა ზასულიჩმა? რისთვისა, რომ მისმა მოქმედებამ ღრმად ააღლევა უშველებელი ნხარე და მისი სახელი ყოველთვის სიყვარულით და თავაზიანობით უნდა იხსენიებოდეს საბჭოთა ქვეყანაში?

ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა მძიმე და აუტანელ პირობებში უხდებოდა ჩვენს მხარეს ხელმწიფის და მისი საგვარეულოს მძიმე უღელ ქვეშ ყოფნა. ყოველი პროტესტისთვის უსამართლობის წინააღმდეგ, თავისუფლების შესახებ თქმული ყოველი სიტყვასთვის ელოდა ადამიანს ხანგრძლივი ციხე და შორეული გადასახლება.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ამბავი გამოიწვია ვერა ზასულიჩის გასროლამ.

გენერალ ტრეპოვმა ბრძანება გასცა ფიზიკურად დაესაჯათ პოლიტიკური პატიმარი სტუდენტი ბოგოლიუბოვი იმისათვის, რომ მასთან ციხის ეზოში შეხვედრისას ბოგოლიუბოვს ქული არ მოეხადნა.

ეს ბრძანება შემხარავად იყო წარმოთქმული. მეფის კანონებშიც კი იყო აღნიშნული, რომ ფიზიკური სასჯელით ისჯებოდნენ მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავენი და არა პოლიტიკური პატიმრები.

პოლიტიკურებმა გაიგეს თუ რა ასეთი საზიზღარი ძალადობა ბოგოლიუბოვზე, აჯახუნენ. აღელვებულნი, ოთხ კედელ შუა გამომწყვდეული პატიმრები პროტესტს გამომხატვემდენ ყვირლით და ბრახვით. ისინი ამტკიცებდნენ ავეჯს, ღუმელებს, ციხე თანთან ემსგავსებოდა საგიჟეთს.

შეშინებული, გაჯავრებული ციხის მსახურნი დაუშვებელი უწე რიგობის შესაწყვეტად შევარდებოდნენ პატიმართა საკანში, სცემდნენ მათ მანძი, სანამ ისინი არ ჩაჩუქდებოდნენ და გონებას არ დაჰკარგავდნენ. ძალზე ჭირვეულებს კი ცემისაგან დასიებულებს აგდებდნენ კარცერში.

ეს კარცერები ნამდვილი საწამებელი ოთახები იყო. ერთი მათგანი ბნელს ჯურღმულს წარმოადგენდა. მთელი იატაკი დაფარული იყო ადამიანის განავალით, რაშიც დაცოცავდნენ უზარმაზარი მატლები. ისეთი საშინელი სუნი იდგა, რომ შეუძლებელი ხდებოდა ესუნთქა შიგ მყოფს.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ „უწესობის“ გამოსარკვევად ციხეში პროკურორი მოვიდა. კარცერში რომ წვიდა იქ ჩაგდებული პატიმრის დასაკითხავად, მან ვერ გასძლო რამდენიმე წუთის მეტი და გული შეუღონდა.

მეორე კარცერი მოთავსებული იყო სათბობი ორთლის ქვაბის ზევით. ქვაბის გახურებისას ტემპერატურა აქ მთლად აუტანელი ხდებოდა.

შიგ მყოფი პატიმარი ცოცხალი დარჩა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამ კარცერის პატარა ფანჯარა ჩამტვრია, სადაც განუწყვეტილ იდგა და ყლაპავდა ეზოდან შემოსულ ჰაერს.

ყველა ეს გაიგო ვერა ზასულიჩმა არა გაზეთით, იმიტომ რომ გაზეთს არ შეეძლო მაშინ დაებეჭდა ასეთი ამბები, გაიგო ხალხის ხმებიდან: სატახტო ქალაქის ციხეში მომხდარმა ამბავმა მიაღწია პატარა ქალაქამდე, სადაც ცხოვრობდა ზასულიჩი.


ვერამ გადასწყვიტა, რომ მეტის მოთმენა შეუძლებელია და ის, ვერა, შურს იძიებს ბოგოლიუბოვისა და ყველა დანარჩენის მაგიერ.

რა მოხვიდოდა მას, გოგონა არ ფიქრობდა. შესაძლებელია მოჰქვან იქვე, შესაძლებელია გაასამართლონ და მიუსაჯონ ჩამოღრჩობა. არც ერთი და არც მეორე ვერას არ აშინებდა. სიკვდილზე საშაშარი იყო აზრი, რომ მომხდარი საშინელება კვლავ გაგრძელდებოდა მომავალში. ვერამ გადაწყვიტა ესროლოს ტრეპოვს და ამისათვის წავიდა პეტერბურგში; მას წაჰყვა მეგობარი ქალი მამა კოლენკინი.

თუ როგორ მოხდა თავდასხმა, თვით ვერა ზასული-
ჩის მოგონება გვამცნობს.

„მოვიზადე სალამოდანვე ყველაფერი, რაც მჭირ-
დებოდა. დავწეი დასაძინებლად. მე მიჩვენებოდა, რომ
მშვიდად ვარ, მხოლოდ გული მეკუმშებოდა, მაგრამ არა
იმიტომ, რომ დაჭერა მელოდა. დარწმუნებული ვიყავი,
რომ ყოველივე შეუფერხებელი ჩაივლიდა, არაფერი არ
შემიშლიდა ხელს, რომ ძნელი სრულიად არ იყო, მაგრამ
მაინც ლოდივით მაწვა რაღაც გულზე. საშინელ სიზმ-
რებს ვხედავდი. და, აი, ადგომის დროა — საათი ჩვენ
არა გვაქვს, მხოლოდ იწყებს თენებას. სახლის პატრონი-

— იატაკზე დავაგდე!
— რევოლვერი, რევოლვერი მოგვეცით! — განა-
გრძობენ ყვირილს.
მერე დამიწყეს ცემა. წამაქციეს იატაკზე.
— თქვენ მოჰყავთ მას!
— მგონია უკვე მოჰყავს.
— ასე არ შეიძლება, გაუშვით, გამოძიება საჭირო!
მეზობელ ოთახში გამათრისს.
თავზარდაცემულმა ჩინოვნიკებმა შეუკრეს მას ხე-
ლები პირსახოცით და სადარაჯოდ მიუყენეს ორი თო-
ფიანი ჯარისკაცი.



ლენინის კუთხე.

სას რაღაცამ გაირიხინა. ტრეპოვთან 9 საათისათვის
უნდა ვიყო. ჩვენ ჩუმად, ხმაამოუღებელი ვდგებით ცივ
და ნახევრად ბნელ ოთახში. ქუჩაში უკვე გათენებულა.
მეგობრები მოვიდნენ სადგურზე, სადაც ვერამ სხვა პალ-
ტო ჩაიცვა და სხვა ქული დაიხურა, რომ ოთახის პატ-
რონს არ ეცნო ბოროტმოქმედი გაზეთის აღწერის მიხედ-
ვით. „ვკოცნი მაშას და მივემგზავრები“. გრადონაჩალნი-
კის კანცელარიაში უკვე რამდენიმე მთხოვნელია. ვერა
მშვიდად ბაასობს მათთან.

და აი ტრეპოვიც თავისი მხლებლებით ჩერდება
ვერას წინ.

— რა გაქვთ სათხოვარი?
ის უპასუხებს, რევოლვერი კი უკვე ხელში აქვს.
დააცემინა ჩახმახს არ გავარდა...

„გული მიმელია... კვლავ დავაცემინე, გავარდა,
ყვირილი...“

რევოლვერი ძირს დავაგდე, ესეც წინასწარ იყო გა-
დაწყვეტილი, თორემ შეხლა-შემოხლის დროს შესაძლე-
ბელია რევოლვერი თავისით გავარდნილიყო.

ვდგავარ და ველოდები. ყველა დაბნეულია. უცბად
ყველა ამოძრავდა. პოლიციელები მომვარდნენ, ხელი მომ-
კიდეს ორივე მხრიდან.

ეს იყო 1877 წლის 24 იანვარს.
— სად არის რევოლვერი?

— უფროთხილდით, — უთხრა ჯარისკაცებს ერთმა
მოხელემ, — თორემ მაგას შეუძლია დანითაც დაგჭრასთ.
მაგრამ ჯარისკაცებს არ შეშინებიათ და როდესაც
ყველა გავიდა ოთახიდან, ერთი მათგანი დაიხარა ვერა-
საკენ და მეგობრულად ჩასჩურჩულა:

— სად ისწავლე სროლა?
— უსწავლია და ვერც უსწავლია, — ჩილაპარაკა
მეორემ — ცუდად მოხვდა.

მართლაც, ვერას ტყვიამ კი არ მოჰკლა, მხოლოდ
დასჭრა ტრეპოვი.

სასამართლოს წინაშე ვერა ზასულიჩმა სთქვა:
ძნელია ადამიანის მოსაკლავად ხელის აწევა, მაგ-
რამ არის ხოლმე გარემოება, რომ გაიძულებს ეს ჩაიდი-
ნო. მე იმედი მაქვს, რომ ჩემი სროლის შემდეგ შეუძლე-
ბელი ვახდება ის, რაც ტრეპოვმა ჩაიღინა“

სასამართლოში გამოირკვა, რომ პოლიტიკურ პა-
ტიმრებს საშინლად უკანონოდ ექცეოდნენ და ეს ისე სა-
შინელი იყო, რომ სასამართლოს დარბაზში მყოფი
„ბრწყინვალე ხალხიც გადავიდა ზასულიჩის მხარეზე.
ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ასამართლებენ არა
ვერას, არამედ ტრეპოვს და მთელ სახელმწიფო წყობი-
ლებას. და როდესაც სასამართლომ ზასულიჩის გამმარ-
თლებელი განაჩენი გამოიტანა, დარბაზში ასტყდა ყვი-
რილი და ვაშას ძახილი. მაგრამ არ გასულა რამდენიმე
დღე, რომ ეს განაჩენი გააუქმეს.

ვერა ზასულიჩი მაშინ საზღვარგარეთ მიიმალა, და
დიდხანს ცხოვრობდა შვეიცარიაში. აქ იგი გაეცნო კარლ
მარქსის მოძღვრებას და მისი ერთგული თანამოაზრე
გახდა.

1883 წელს რამდენიმე რევოლუციონერმა ემიგრან-
ტმა (პლენხანოვი, დეიჩი, აქსელროდი და ვერა ზასული-
ჩი) დააარსა ჯგუფი „შრომის განთავისუფლების“, რომე-
ლიც იყო წინამორბედი რუსეთის სოციალ-დემოკრატიუ-
ლი პარტიის, რომლისაგანაც ბოლოს წარმოიშვა პარტია
ბოლშევიკებისა.


„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი ბევრს და შე-
ურყევლად მუშაობდა რუსეთში კარლ მარქსის სწავლე-
ბის გავრცელებისათვის.

როდესაც შვეიცარიაში მივიდა ვ. ი. ლენინი, ვერა
თანამშრომლობდა მასთან ჟურნალ „ისკრა“-ში და, რო-
გორც მოწმობს ნადეუდა კონსტანტინეს ასული, მთლად
ამ საქმეს უნდებოდა, დღესა და ღამეებს ატარებდა რე-
დაქციაში. ვერასთან მომუშავე ყველა ამხანაგი აღნიშ-
ნავს, რომ ვერა იშვიათი ადამიანი იყო.

ზასულიჩის დამახასიათებელი თვისება იყო არაჩვეუ-
ლებრივი თავმდაბლობა. იგი ყოველთვის გულგრილად
უყურებდა, რომ მას აღიდებდნენ, რომ მოხიბლული იყ-
ვნენ მისი საქციელით. ტრეპოვს რომ რევოლვერი ესრო-
ლა, ეს გმირობად კი არ მიაჩნდა, არამედ მოვალეობის
შესრულებად. საშინლად სძულდა, როდესაც აქებდნენ,
აღიდებდნენ.

რუსეთში დარუნების შემდეგ ვერა ივანეს ასული
სიკვილიამდე მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებდა მუშა-
თა კლასის საქმე!

თარგმ. რუსულიდან ვ. არჩვადე



ა. წ. აგვისტოში განზრახულია მოსკოვში მოწვეულ იქნას ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციათა საერთაშორისო კონფერენცია.

მაგრამ იმისათვის, რომ კონფერენცია სათანადოდ ჩატარდეს, საჭიროა წინასწარ გაგება, თუ რა მდგომარეობაშია ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა საზღვარგარეთ. ამ მიზნით 1928 წლის დეკემბრიდან წარმოებდა გერმანიის, ჩეხია-სლოვაკეთის, ავსტრიის, ნორვეგიის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების პიონერ-ორგანიზაციათა შესწავლა.

აი რას წერს დათვალელები ერთ-ერთი მონაწილე: „ტყვილად გაჩხრიკეს ჩემი ბარგი პოლონეთის საზღვარზე; სულ ერთია, მაინც ვერ იპოვეს პიონერული დროშა და საშეფო საჩუქრები.

ბერლინში იმ დროს ჩავედი, როცა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ბერლინის პიონერთა ხელმძღვანელების კურსების მაცადინებობა, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. დღის წესრიგში იდგა: 1. საზღვრულ ბანაკობისათვის მზადების საკითხი და 2. რა გავლენა მოახდინა რაციონალიზაციამ მშრომელთა ბავშვების მდგომარეობაზე. კურსები თავისი შინაარსიანი კრებებით ამტკიცებს ბერლინის ორგანიზაციათა ზრდასა და განვითარებას“.

რა მდგომარეობაშია საერთოდ გერმანიის პიონერთა მოძრაობა? უნდა ითქვას სიმართლე, რომ გერმანეთში ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციას უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის სახე აქვს, რაც აშკარად ჩანს. მას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია და ის მუშათა მასების სათანადო ყურადღებით სარგებლობს, რასაც სხვა ქვეყნებში ნაკლებად ვხედავთ და ეს გერმანიის პიონერ-ორგანიზაციათა მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დიდი მიღწევები აქვს პიონერთა ორგანიზაციას ეკონომიურ ბრძოლაში მონაწილეობით. ეს ბრძოლა პირველად დაიწყო ჰამბურგის პიონერებმა, როცა წარმოებდა ნავსადგურის მუშების გაფიცვა. პიონერები ამ დროს გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდნენ, აგროვებდნენ გაფიცული მუშებისათვის დახმარებას, აწოდებდნენ სანოვაგეს; მათ ამ საქმეში ჩააბეს შეუკავშირებელ ბავშვთა ფართო მასაც.

რურის ოლქის ლოკაუტთან დაკავშირებით, დიდი აქტიურობა გამოიჩინეს პიონერებმა გაფიცული მუშებისათვის დახმარებაში. პიონერების ეს მუშაობა მრავალჯერ შეაფასა დადებითად პარტიულმა გაზეთებმა. გაფიცვის დროს პიონერებმა გააბეს კავშირი გაფიცვის ხელმძღვანელ კომიტეტთან და ჩატარებულ იქნა გაფიცულთა ბავშვების აღრიცხვა და მათი კვებით უზრუნველყოფა.

ამას გარდა მათთვის გაიმართა მთელი რიგი საღამოები, წარმოდგენები, გაფიცულთა ბავშვები გაგზავნეს სხვადასხვა ქალაქში, სადაც ისინი დაბინავებულ იქნენ მუშათა ოჯახებში. ამ წლის დასაწყისში ბერლინის ერთ-ერთ უბანში (კენიგსდორფში) გაფიცვამ იფეთქა. იქ არ არსებობდა პიონერთა ორგანიზაცია, მაგრამ სხვა უბნების პიონერებმა მოაწყვეს ბავშვების დემონსტრაცია, რომლის მეორე დღეს აღვილობრივ ბავშვთა ფენებმა განაცხადეს პიონერთა ორგანიზაციის დაარსების სურვილი, რაც ერთხელ კიდევ იმას ამტკიცებს, რომ პიონერთა მოძრაობა დადებითი ხასიათის მუშაობას აწარმოებს. პიონერთა ორგანიზაცია გერმანეთში დიდ ბრძოლას აწარმოებს აგრეთვე ბავშვთა ბურჟუაზიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომ მათი გავლენიდან ვაათავისუფლოს და თავის მხარეზე გადმოიყვანოს ბავშვთა ფენები, რასაც ბევრ შემთხვევაში ბრწყინვალედ ასრულებს. ასე, მაგალითად, პიონერები მართავენ საღამოს სკოლაში, სადაც იწვევენ სხვა ბავშვთა ორგანიზაციებს, მათ შორის ეწვევიან ავითაციას, აჩვენებენ თავის მიღწევებს და შესაძლებლობას. აი რას წერს ამის შესახებ ერთ-ერთი პიონერი: „ჩვენ გავაბით კავშირი „წითელ შევარდნელებთან“; გავმართეთ საღამო საბჭოთა კავშირის პარტიისაკენ; ისინი გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენც ვუპასუხეთ და დავარწმუნეთ კიდევ. ჩვენ მივალწიეთ სკოლაში იმას, რომ ასეთი საშუალებებით შევანელებთ მათი გავლენა სკოლაში. მაგალითად, ერთმა მასწავლებელმა ჩვენს შესახებ საჯაროდ განაცხადა, რომ ჩვენ „შევარდნელებზე“ უფრო კარგად შეგვიძლია საღამოების და კრებების მოწყობა.

რაც შეეხება პიონერთა პრესას, ის გერმანეთში კარგ მდგომარეობაშია. გამოდის მრავალი გაზეთი და ჟურნალი პიონერებისათვის; პიონერულ გაზეთებთან დაკავშირებით, საქმალდ თვალსაჩინოდ იზრდება კადრი ბავშვკორებისა. მაგალითად, პარტიულ გაზეთ „ფრეიხაიტ“-ში, სადაც პიონერებს თავისი განყოფილება აქვთ, თანამშრომლობს 100 ბავშვკორი, ახლო მომავალში განზრახულია სრულიად გერმანიის ბავშვკორთა კონფერენციის მოწვევა.

გერმანელი პიონერების მუშაობა საერთოდ ამ უკანასკნელ დროს წინ მიდის, ისინი კავშირს აბამენ სხვა ქვეყნების პიონერებთან, აწყობენ საზღვრულ ბანაკებს; მაგალითად, ყველასათვის ცნობილია ვოროშილოვის სახელობის ბანაკი.

რა მდგომარეობაშია ჩეხია-სლოვაკეთის პიონერთა ორგანიზაციები.

მათ მეტად მძიმე პირობებში უხდებთ მუშაობა, კომუნისტურ მოძრაობას იქ სასტიკად სდევნიან, ამიტომ პიონერული მოძრაობაც სუსტად მიმდინარეობს; ორგანიზაციებს არალეგალური მუშაობა უხდებთ. ნახევარი წლის განმავლობაში აკრძალული იყო გლეხური პიონერული გაზეთის გამოცემა. ახლა გამოდის ერთი გაზეთი მაგრამ ცენზურის მიერ ყოველ ნომერში თითო წერილია ამოჭრილი. პიონერთა მოძრაობა სუსტია, მაგრამ ეს აიხსნება იმითაც, რომ მას სათანადო ყურადღებას ვერ აქ-

ცევს თვით ჩეხია-სლოვაკეთის კომუნისტური პარტია. ბავშვთა უმრავლესობა ფაშისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტების გავლენის ქვეშაა.

მიუხედავად ამისა, პიონერთა ორგანიზაცია საკმაოდ საყურადღებო მუშაობას აწარმოებს. ამ უახლოეს ხანში ჩატარებულ იქნა პიონერთა არალეგალური კონგრესი. კონგრესი მოხდა ქ. პრაგის მუშათა გარეუბანში. კონგრესს ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა: იქ შეკრებილი იყვნენ ჩეხები, გერმანელები, სლოვაკები, ვენგრიელები და სხვები. საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩეხია-სლოვაკეთის პიონერები მუშათა მოძრაობაში; მემალაროელთა გაფიცვის დროს პიონერები აქტიურად იბრძოდნენ შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ. დიდ შეურაცხყოფად ითვლება იქ მუშებისათვის მკვდარი კატა; პიონერები შტრეიკბრეხერების ბინების კარებზე მკვდარ კატებს ჰკიდებდნენ და მღეროდნენ ისეთ სიმღერებს, სადაც მათ დასცინოდნენ.

პიონერებს ებრძვიან სკოლებში მასწავლებლები, მაგრამ არც პიონერები იხევენ მათ წინაშე; ისინი ხშირად უხეში მოპყრობისათვის გაფიცვებს აწყობენ სკოლებში.

პოლიციელები სასტიკად სდევნიან პიონერებს. ერთი თვის განმავლობაში პოლიცია ცდილობს გაიგოს, თუ სად ხდება პიონერთა კრებები. ამისათვის მათ დაპატიჟეს რამდენიმე პიონერი, მისცეს ტებილეულობა, რომ ამ საშვალებით გაეგოთ მათი მუშაობის შესახებ ყველაფერი, მაგრამ პიონერებმა მაინც არ გასცეს ორგანიზაცია.

სოციალ-დემოკრატიულ „სამოთხეში“.

ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები, მუშათა კლასის ეს ცნობილი მოლაპატეები, ამაყობენ ქ. ვენით. აქ ყველაზე მეტი მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან სოციალ-დემოკრატების და ბურჟუაზიას და ამგვარი კავშირით უფრო ძლიერად ჩავრავებ მუშათა კლასს. დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან ძმრომელთა ბავშვებიც. დადასტურებულია, რომ ქალაქის მუშათა ერთ-ერთ უბანში ბავშვებს არ ძოვაოვებთ თავისი საწოლები და იატაკზე წვანახ, **ზშირია შემთხვევები, როცა სიძშილით კვდებიან ბავშვები.** ასეთ პირობებში, ცხადია, დიდ გასაქასს არ მისცემენ პიონერებს. პოლიცია ყოველ ხაბიჯზე დევნის მათ, არ აძლევს შეკრების უფლებას და სხვა. უკანასკნელ დროს უნდათ მოსპონ პიონერული ვაზეთი.

დადგენილებაში, რომელიც გამოტანილია ამ ვაზეთის მიმართ პოლიციის სამართველოს მიერ, წერია:

„აკრძალულ იქნეს მუშათა და გლეხთა ბავშვების პერიოდული ვაზეთას „წითელ პიონერი“-ს გამოცემა და მისი გავრცელება ქუჩებში ვაზეთის გამყიდველების საშვალებით, იმის გამო, რომ ხსენებულ ვაზეთს მოაქვს ახალგაზრდობისათვის ზნეობრივი ხასიათის მავნებლობა“.

მიუხედავად იმისა, რომ პიონერ-მოძრაობა საერთოდ სუსტია ავსტრიაში, პიონერ-ორგანიზაციები თავისი მუშაობით დიდ საფრთხობელას წარმოადგენენ ბურჟუაზიული ავსტრიისათვის; პოლიცია დევნის მათ; ვაზეთები წერენ მათ შესახებ და იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც პიონერები უქადაიან მათ. ავსტრიის კომუნისტური პარტია კარგ ხელმძღვანელობას უწევს პიონერ-ორგანიზაციებს.

პიონერული მოძრაობის გვერდით ავსტრიაში არსებობს ბავშვთა სხვა ორგანიზაციებიც, რომელთაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ. მიუხედავად ამისა,

მათი მუშაობა და გავლენა სუსტია, ისინი მეტწილად პიონერებს ბაძვენ, მღერიან პიონერულ სიმღერებს „ლენინზე“, „წითელ არმიანზე“. სამწუხაროდ, ეს გარემოება არაა გამოყენებული ჩვენი პიონერების მიერ ამ ორგანიზაციების დაშლის მიზნით.

ნორვეგია და შვეცია.

სკანდინავიის მუშათა კლასს ცოტა გამოცდილება აქვს რევოლუციონურ ბრძოლაში. მსოფლიო ომის დროს სკანდინავიაში მრეწველობა იმდენად განვითარდა, რომ თითქმის გაუტოლდა გერმანიის, ამიტომ მუშები ადვილად მიჰყვებიან წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების კარნახს. კომუნისტურ პარტიას შეტად რთული მუშაობის წარმოება სჭირდება იქ.

ეს გარემოება თავისებურ დაღს ასვამს პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. იმათ უფრო აღმზრდელი ორგანიზაციის ხასიათი აქვთ, ვიდრე მებრძოლი ორგანიზაციის. რასაკვირველია, მდგომარეობა ნორვეგიაში უკეთესია, ვიდრე შვეციაში, სადაც არ ჩატარებულა არცერთი მებრძოლი მუშაობა.

ნორვეგიაში არსებობს ხელმძღვანელთა სკოლა, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. უკანასკნელი არჩევნების დროს პარლამენტში პიონერთა ორგანიზაციამ წამოაყენა რამდენიმე მოთხოვნა ბავშვების დაცვის მიზნით, ჩატარა მშობელთა კრებები, მიიღო მონაწილეობა მუშათა გაფიცვებში და სხვა.

ქ. როკაში 40 პიონერია. მათი საშვალებით აქ მოხდა მოწაფეების სასკოლო გაფიცვა ერთი მასწავლებლის წინააღმდეგ, რომელიც მუშების მოწინააღმდეგე იყო. გაფიცვა ოთხი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, მასწავლებელი მოხსნეს სკოლიდან. ნორვეგიის ერთ პატარა უბანში, სადაც სულ 23 ბავშვი ცხოვრობს, 16 პიონერია, ორი არ ირიცხება არსად, 5 კი რელიგიურ წრეში მეცადინეობს. ნორვეგიის ერთ-ერთ ადგილას არსებობს პიონერების ერთი აქტიური ჯგუფი, 60 პიონერი. ეს პიონერები აქტიური არიან, მათ აქვთ მთელი რიგი წრეები, მართავენ საღამოებს და სხვა.

საარჩევნო კამპანიის დროს ამ პიონერებმა მოიწვიეს მშობელთა კრება, სადაც გამოვიდნენ სიტყვებით და მოუწოდეს მათ მიეცათ ხმა მუშათა კლასისათვის მებრძოლი ნორვეგიის კომუნისტური პარტიისთვის.


ეს მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ ნორვეგიის პიონერ-ორგანიზაციებს გამოცოცხლება დაეტყო, რომ ისინი მებრძოლ მუშაობას იწყებენ იმ დროს, როცა შვეციის პიონერ-ორგანიზაცია ჯერ კიდევ მხოლოდ აღმზრდელი ორგანიზაციის წარმოდგენს, სადაც, მიუხედავად ამისა, ორი შესანიშნავი მოვლენა იყო: საბჭოთა კავშირში ნამყოფმა პიონერთა დელეგაციის წევრებმა მთელ რიგ სკოლებში მოაწყეს მოხსენებები საბჭოთა კავშირზე. ერთ-ერთმა პიონერმა გაილაშქრა რელიგიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ ვაზეთებში დიდი ამბავი ატყდა; იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც ეს პიონერი ეკუთვნოდა, მსახურობდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში მემანქანედ; ბურჟუაზიამ პიონერის ასეთი გამოსვლა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ გამოიყენა.

პიონერ-ორგანიზაცია სკანდინავიაში ნელი ნაბიჯით მიდის წინ.

ვებრძოლეთ მავნე ჩვევებს



ტანისამოსით ნუ დაიძინებ: ეს ხელს უშლის კანის სუნთქვას (კანი სუნთქავს)



ნუ დაწვები საწოლზე ფეხსაცმელებით, რადგან ფეხსაცმელის მტვერს შეიძლება თან მოჰყვეს მრავალი სხვადასხვა სნეულება.



ნუ ჰკოცნი ცხოველებს: შეიძლება ჭიები გაგიჩნდეს. როდესაც ცხოველებს მიუაღერებ, ხელები საპნით დაიბანე.




ყურში ნუ ჩაიყობ თითს — შეიძლება ყურის აპკის ანთება გაგიჩნდეს.



ნუ დაღევ წყალს წყალსადენის ონკანიდან: ვინ იცის, ვინ დალია შენამდე.



კბილს ჩანგლით ნუ იჩიქნი: ეს აფუჭებს კბილის მინერალს



ვაწყობთ პიონერთა საზაფხულო ბანაკებს.

თანახმად საქ. ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს დირექტივისა, ფოთში პიონერთა ბანაკის მოწყობის საქმე მარტიდან დაიწყო.

პიონერთა ბანაკის მომწყობმა კომისიამ ბანაკის საკითხი დაამუშავა და საჭიროდ სცნო ამ საქმისათვის შეგროვოდა იქნას 15-20 ათასი მანეთი, რის გამოც კომისიის და პარტიული კომიტეტის მიერ აღძრულ იქნა შუამდგომლობა საქ. ცენტრალურ ორგანოებთან, რომ მათ დახმარება აღმოეჩინათ ფოთში პიონერთა ბანაკის მოწყობისათვის, მით უმეტეს, რომ ფოთი მაღარიანი ადგილია. უხდა ითქვას, რომ ცენტრალური ორგანოებისადმი ასეთი მიმართვის გაგზავნამ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა: ცენტრალურმა ორგანოებმა ამ საქმის მოსაგვარებლად 7000 მანეთი გაიღეს.

გარდა ამისა, ბანაკის მოწყობის ფონდის გასაძლიერებლად მიღებულია ყოველგვარი ზომა.

პარტიულმა კომიტეტმა ბანაკის მოწყობის საკითხი გადაიტანა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე, სადაც მოწონებულ იქნა ბანაკის მოწყობის საკითხი და ამ საქმისათვის გადაიღო ერთი დღის ხელფასი.

ასეთი კრებები ტარდება არეთვე პროფკავშირის ხაზითაც, საიდანაც დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვიღებთ.

გარდა ამისა, პიონერთა საზაფხულო ბანაკის მოწყობის საკითხის ირგვლივ სათანადო ახსნა-განმარტება და საუბრები ტარდება ყველა პიონერ-კოლექტივში მშობლების თანდასწრებით.

ბანაკის მომწყობმა კომისიამ მოიწვია საქ. ჯანმრთელობის კომისარიატის წარმომადგენელი, რომელმაც კომისიის შერჩეული ადგილი მოიწონა (ბანაკი ეწყობა ფოთის მახლობლად, ზღვის პირად, ეგრეთწოდებულ მალთაყვავში)

ბანაკის მოწყობის საქმე მთლიანად უხდა დამთავრდეს იენისში და პიონერთა ბანაკად გაყვანა უხდა მოხდეს 1 იენისში. ბანაკობა გასტანს ორ თვეს, აგვისტოს დამლევამდე. სულ ბანაკად გაყვანილ უხდა იქნას 250-300 პიონერი ორ წყებად, თითო წყება ბანაკად დაყოფს თითო თვეს.

ბ. კ. ო. სამაზრო ბიუროს მიერ ეწყობა ბანაკად გასაყვან პიონერ-ხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები.

ან. ჯაოშვილი.

ქ. ხაზურის ნ. პ. პირველი კოლექტივი.

ეს კოლექტივი სამავალითოა მთელი ხაზურის რაიონში. კოლექტივის და რგოლების მეცადინეობა სისტემატიურად წარმოებს, სადაც ირჩევა მეტად საინტერესო საკითხები. გამოდის კედლის გაზეთი, რომელიც აშუქებს პიონერთა ყოფა-ცხოვრებას.

კოლექტივთან ჩამოყალიბებულია წრეები: დრამატული, მხატვართა, პიკორთა და სხვ.

ბ. ქურდაძე.

მიუხედავად ხელის უემზღველი პირობებისა, წინ მივლივართ.

ტფ. 1 საცდელ - საჩვენებელ შრომის სკოლასთან ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობის ნ/პ. კოლექტივი 1928 წლის დეკემბერში დაარსდა ამხ. გ. ბერლინსკის ინიციატივით. კოლექტივის დაარსებამდე ამ სკოლაში მხოლოდ 8 პიონერი იყო, რომელნიც მუშაობდნ სხვადასხვა კოლექტივში. კოლექტივის დაარსებისთანავე, ხელმძღვანელის ენერგიული მუშაობით, კოლექტივში თავი მოიყარა 130 მოწაფემ; ამჟამად ეს კოლექტივი მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენს და მტკიცედ იცავს ლენინის იდეებს, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი დაბრკოლება ხვდება.

კოლექტივი უშვებს სისტემატიურად კედლის გაზეთს, დაულალავად იბრძვის რელიგიის წინააღმდეგ, აწყობს სააგიტაციო საღამოებს და სხვა. კოლექტივს მოწყობილი აქვს სხვადასხვა კუთხე, მაგ. ლენინის, ბელადების; კოლექტივთან არსებობს სხვადასხვა წრე.

ვინ უშლის ხელს კოლექტივის მუშაობას? კოლექტივს მუშაობა უხდება ისეთ სკოლაში, სადაც ფესვები მაგრად აქვს გადგმული ძველ დახავსებულ წესებს და თავი მოუყრიათ მდიდრებისა და ყოფ. თავდაზნაურების შვილებს, რომლებიც მასწავლებლებიანად მომართული არიან საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და, რასაკვირველია, ასეთ ანტისაბჭოთა გარემოცვაში პიონერთა კოლექტივს და კომკავშირის ორგანიზაციას ბევრი დაბრკოლება ექნება გადასალახავი. მაგ. ა/წ. მარტში კოლექტივმა მოაწყო საზეიმო საღამო, რის აღსანიშნავადაც გამოუშვა კედლის გაზეთი „პიონერის ნაბიჯი“ და გამოაკრა სკოლის დარბაზში. მეორე დღეს ეს გაზეთი დახეული იპოვნეს, რაც უხდა მიეწეროს ამავე სკოლის მოწაფეების მოქმედებას, მაგრამ ყოველივე ასეთ დაბრკოლებას კოლექტივი ლახავს ა. ლ. კ. კ. უჯრედის ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

კოლექტივი ამჟამად თანდათანობით გადადის მუშაობის ახალ ფორმისა და მეთოდებზე, პიონერების 80% ოთხწლედის მოწაფეებია.

კოლექტივის მუშაობის მიღწევად უხდა ჩაითვალოს ის, რომ ოთხწლედში ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები ნელ-ნელა იფხვრება, რასაც ამტკიცებს თუნდაც ის პატარა ფაქტი, რომ სიტყვა „ბატონო“-ს ძახილი მოსპო პიონერთა ორგანიზაციულმა მოქმედებამ. 7-წლედსა და 9-წლედში კი ეს ჩვეულებრივ ისევე არსებობს. კოლექტივი აწყობს აგრეთვე პიონერთა საზაფხულო ბანაკს.

კოლექტივს შინაურ საქმეებში უმთავრესად ეხმარება კ. კ. უჯრედი, გარდა ამისა დიდი დამხმარებას უწევს მას განათლების კომისარიატი და ადგილობრივი მშობელთა დახმარე საბჭო.

ქეთო თოდრიას.

მზადება ნ. პ. ბანაკობისათვის.

(წერილი ზესტაფონიდან)

შორაპნის ბ. კ. ო. სამაზრო ბიურომ საბანაკო მუშაობის სამზადისი დაიწყო, თანახმად ც. ბიუროს დირექტივებისა, ა/წ. მარტიდან აღნიშნული საკითხი ბ.კ.ო. ბიუროს მიერ დამუშავებულია.

ს. კ. პ. (ბ) შორსამპარტკომის მიერ გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიან პარტკომკავშირის და დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კომისიის მიერ შემუშავებულია სათანადო გეგმა, რომლის მიხედვითაც წარმოებს წინასწარი მუშაობა.

კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ბანაკობის ხარჯთაღრიცხვა. გათვალისწინებულია 13,500 მანეთი. თანხებს იღებენ დაწესებულებანი, პ/შშობლები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აგრეთვე იდგება საღამო-წარმოდგენები, რომლის მთლიანი შემოსავალი ბანაკობის მოსაწყობ ფონდში გადადის. **ბანაკობაში მონაწილეობას მიიღებს 500 პიონერი, სახელდობ: ზესტაფონის, ჭიათურის, შორაპნის, ხარაგაულის, ჩხარის, საჩხერის, ძირულის, მარეღისის და სხვა თემების.**

ბანაკობა მოეწყობა ორ ნაწილად, იგი სავსებით იქნება უზრუნველყოფილი საექიმო პერსონალით და სხვადასხვა მოწყობილობით.

ბანაკობა ა/წ. 15 ივნისიდან დაიწყება.

ან. გველესიანი.

დ უ შ ე თ ი.

როგორც კი გამოაცხადა კონკურსი ტფილისის ბიურომ საბანაკო სახლებში საუკეთესო მუშაობაზე, ახალშენის ნ. პიონერთა საბჭომ მთავარი ყურადღება მიაქცია კოლექტივებში მუშაობის გამოცოცხლებას. პ. საბჭომ მიუთითა კოლექტივებს ყველა ნაკლზე, რგოლების თანხების გაუმჯობესებაზე და ამით გაშალა პიონერთა კოლექტივების ფართო აქტივობა.

მოვაწყეთ ლენინის, პიონერ-პრაქტიკის, კომუნარების კუთხეები და ეწყობა სამხედრო კუთხე, რომელიც მოკლე ხანში დამთავრდება.

ყველა ამ სამუშაოსთან ერთად აღსანიშნავია აგრეთვე კლუბის მოწყობა. კვირაში 3-ჯერ კლუბში უკრავს ჩვენი კოლექტივის სასულე ორკესტრი გარდა ზემოაღნიშნული კუთხეებისა, დიდ მუშაობას აწარმოებენ კოლექტივები ადგილობრივად კომკავშირთან არსებულ წრეებში, როგორცაა: ამკინძავთა, საოჯახო, ჯგუფგარეშე მკითხველთა წრე და სხვა. წრეების მუშაობა ნაყოფიერია. ჯერ მარტო ამკინძავთა წრემ შესძლო სულ მცირე დროის განმავლობაში 80 მან. აღება. საოჯახო წრე დაწესებულებას უმსუბუქებს ხარჯებს. უქმე დღეებში, თავისუფალ დღეს, ინტერნატის ყველა ტექნიკური თანამშრომელი თავისუფლდება და მათ საქმეს საოჯახო წრე აკეთებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პიონერების მუშაობა სახელოსნოებში, სადაც ისინი ამზადებენ სხვადასხვა მოდელებს. მოდელებიდან აღსანიშნავია ფუნიაკულიორი, რომელზედაც მოძრაობს რონოლა მექანიზმით. (მოდელის სურათი მოთავსებული იყო ჟ. „პიონერ“-ში № 9).

ამასთან უნდა აღინიშნოს სუფთა ნამუშევარი გემი. ზემოთ დასახელებულ მოდელებში აღსანიშნავია ავტობუსის მოდელი.

პიონერები დიდ იმედებს იძლევიან თავისი საქმიანობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სისტემით მუშაობა ორგანიზაციას გარდაქმნის ახალი მიმართულებით, ამის საბუთები უკვე გვაქვს.

ჩვენ განზრახული გვაქვს მოვაწყოთ რაიონის მამულებით გამოფენა, რომელიც დაანახებს მოსახლეობას იმ საქმიანობას, რომელსაც პ. კოლექტივები აწარმოებენ ახალშენში.

დიმიტრი ჯომარდიძე.

მუშაობა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, სკოლის გარეშე და რჩენილ ბავშვთა შორის.

გადავხედოთ სოფელში პიონერ-ორგანიზაციის მუშაობას და დავინახავთ საგრძნობ მიღწევებს ამ მხრივ.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობა სუსტად წარმოებს. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ სოფლად გლეხის შვილები, რომლებიც დარჩენილი არიან სკოლის გარეშე (პიონერული ასაკის 10—16 წ.), არ არიან პიონერ-კოლექტივში გაერთიანებული, არც მცირეწლოვანი მოჯამაგირეები, რომელთა რიცხვი საგრძნობია. მაგალითად მომყავს მექვენის (რაჭა-ლეჩხ. მაზრა) თემის ორგანიზაცია. აქ არის სულ 500 პიონერი და ყველა მოწაფეა, მაშინ როდესაც აქ ბლომად არიან მცირეწლოვანი მოჯამაგირეები და სკოლის გარეშე დარჩენილი ასაკის ბავშვები. საჭიროა ამ მხრივ მათთან მუშაობის გაჩაღება; უნდა შევსძლოთ ამ ბავშვების მტკიცედ შეკავშირება და ორგანიზაციულად დარაზმება.

ამ ბავშვებში უნდა გავავრცელოთ პიონერული იდეები და ამოცანები; მთავარ მიზნად უნდა დავისახოთ, რომ ასეთი ბავშვები ჩამბულ იქნან ჩვენს მუშაობაში, პირველად კავშირი უნდა გამოიხატებოდეს ცოცხალ დაახლოებაში და შემდეგ — კოლექტივში უშუალო ჩამბაში. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. სოფლის არცერთი ნორჩი მოჯამაგირე არ უნდა დარჩეს კოლექტივის გარეშე.

გ. წერეთელი.

რამდენი პიონერია მთელ დედაამიწაზე

ინგლისი — ნორჩ ამხანავთა კავშირი	600
ავსტრია — წითელი ნორჩი პიონერები	250
არგენტინა — ბავშვთა კომუნიკაციები	700
გერმანია — ნორჩ სპარტაკელთა კავშირი	10,000
ჰოლანდია — ნორჩი პიონერები	300
დანია — ნორჩი პიონერები	100
ინდონეზია — კომუნ. სკოლების მოწაფენი	5000 მდე
კანადა — ნორჩი პიონერები	1200
ჩინეთი — პიონერები	35-40000
მექსიკა — წითელი პიონერების კავშირი	1000
მონღოლეთი — წითელი პიონერების კავშირი	3000
ნორვეგია — ნორვეგიის პიონერთა კავშირი	1000
ახალი ზელანდია — ნორჩი პიონერები	50
პალესტინა — ნორჩი პიონერები	100
პოლონეთი — ნორჩ პიონერთა კავშირი	2000
ჩრ. ამერიკის შეერთ. შტ — ნორჩ პიონერთა კავშირი	4000
საბჭოთა კავშირი — პიონერები	2,000,000
ურაგვია — ურაგვიის კომუნისტ ბავშვთა ორგანიზაცია	800
ფინლიანდია — მუშათა შეკავშირებულ ბავშვთა კავშირი	3500
საფრანგეთი — მუშურ-კლესურ ბავშვთა კავშირი	1800
ჩეხია-სლოვაკეთი — ნორჩი პიონერები	2500
შვეცია — მუშათა ბავშვების კავშირი	2000
შვეიცარია — მუშათა ბავშვების ჯგუფთა კავშირი	500
აფრიკა — პიონერები	50-70
ავსტრალია — პიონერები	50

სისხლიანი მათხოვარ გარლინუი

როცა საბჭოთა კავშირის მშრომელნი დილიდანვე ხეიმობდენ საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულს — 1 მაისს — და სადემონსტრაციოდ გამოდიოდენ ინტერნაციონალის გუგუნით, ამ დროს ბერლინის ქუჩებში აღმართული იყო მებრძოლ მუშათა ბარიკადებუ.

1 მაისი ბერლინის ქუჩებში სისხლისმღვრელ დღედ გადაიქცა. პოლიციელთა ხროვა „გმირულად“ იბრძოდა უიარაღო ხალხის წინააღმდეგ. ისინი მოდებულნი იყვნენ ბანდებსავით მთელ ქუჩებში. მათ წინა კვირიგებში დაიწყეს სისხლისმღვრელი შეტაკებისათვის მზადება.

პოლიცია მოითხოვდა დემონსტრაციის დაშლას. ნაცვლად ამისა, დემონსტრანტები უამრავი პლაკატითა და ლოზუნგით მოედვენ ქუჩებს და ერთხმად შესძახეს პოლიციის წარმომადგენელთ:

„ძირს პოლიცია, ძირს პოლიც-პრეზიდენტის ბრძანება, გაათავისუფლეთ ქუჩა 1 მაისს!“

მიუხედავად დემონსტრანტების მოთხოვნებისა, ცერგიბელის (პოლიც-პრეზიდენტი) ბრძანება სისრულეში იყო მოყვანილი. პოლიციამ იერიში მიიტანა დემონსტრანტებზე.

ბრძოლის ასპარეზს ყოველთვის მუშათა რაიონები წარმოადგენდენ და წარმოადგენენ. ამიტომ იყო, რომ პოლიციამ მთელი იერიში მიიტანა მუშათა გარეუბნებში. ვედიგის ქუჩებზე დემონსტრაცია ჩაშალა პოლიციის ცხენოსანმარაზში.

ისინი უწყალოდ სცემდენ დემონსტრანტებს, ესროდენ სახლებს, ესროდენ ყველას, ვინც ფანჯარაში თავს გადმოყოფდა. პოლიცია არ დაკმაყოფილდა ამით. გამოწვეულ იქნა კრეცხლის მჭრობელი რაზმი, რომელმაც მშვიდობიან დემონსტრანტებს წყალი მიუშვა.

ასე მიეკუთრად იქცეოდა ცერგიბელის „სახელოვანი არმია“, ასე იხახელა მან თავი. 1 მაისს ქუჩებში ეყარენ დაჭრილები და მკვდრები. ქვაფენილები შეუებელი იყო მებრძოლი პროლეტარიატის სისხლით. ზოგიერთი სახლი ტყვიებით იყო დაცხრილული.

წინასწარი ცნობების მიხედვით, მოკლული აღმოჩნდა რამდენიმე ათეული მუშა. მძიმედ დაჭრილი — 100. მსუბუქად — 200. დაპატიმრებულია 1000 კაც მდე.

სისხლისმღვრელი შეტაკებების ეკრანზე გადაღების უფლებას პოლიცია არავის არ აძლევდა. ერთმა ფოტორეპორტიორმა განიზრახა მისი გადაღება, მაგრამ პოლიციელებმა შეინიშნეს თუ არა ეს, ფოტო დაუმტვრიეს.

ბავშთა ფაშისტური ორგანიზაცია „ბალილა“ იტალიაში

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს, როდესაც მსოფლიოს პიონერები ამოწმებენ თავის ძალ-ღონეს, აუცილებლად საჭიროა გაეცნოთ ბავშთა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ცხოვრობენ ბურჟუაზიის ხარჯზე საზღვარგარეთ.

ამ მხრივ ფაშისტური იტალიის პირველი ადგილი ეკუთვნის. ის თავის ბავშთა ფაშისტურ ორგანიზაციაში ისე ზრდის ბავშვებს, რომ ისინი იყონ ბურჟუაზიისა და ფაშისტური წესწყობილების დამცველნი.

ამჟამად იტალიაში არის ბავშთა ფაშისტური ორგანიზაციის „ბალილა“-ს 509 ლეგიონი. რომლებშიც 8 2. 242 წევრია; იმ მიზნით, რომ მათ ასწავლონ სამხედრო საქმე. მათთან მიმაგრებულია 4.343 ოფიცერი, 18.000 ინსტრუქტორი; გარდა ამისა, 423.959 ავანგარდელიც დაკავშირებულია „ბალილა“-ს ორგანიზაციასთან და მოზარდთა სპეციალურ ფაშისტურ კორპუსებს წარმოადგენს. ამ ორგანიზაციისთან არის მიმაგრებული 646 მღვდელზე მეტი, რომელნიც უხსნიან მოზარდთაობას, რომ მისი წმინდა მოვალეობაა ფაშისტური წესწყობილებისა და მეფის დაცვა.

მუშების ბავშვები ამ ორგანიზაციაში ძალიან კოტანი არიან: მათ კარგად ესმის, რომ ეს ორგანიზაციები მათი ინტერესების დამცველი არ არის. ყველა მუშურ უბანში ნახავთ წარწერებს „გაუმარჯოს ლენინს“, „გაუმარჯოს კომუნისტს“.

ბალილელთა აღლუმის დროს ხშირად დგანან მუშათა ბავშვები ქვებით ხელში გზაჯვარედინებზე და არის

და რეპორტიორი საბარგო ავტომობილით გაგზავნეს პოლიციის სამართველოში. ქუჩებში ისევ გუგუნებდა ჯავშნიანი ავტომობილები. ჰაერში ტრიალებდა რეზინის ჯოხები. თოფების სროლა აყრუებდა ქუჩებს. ხის კუნძებისა და ეტლებისაგან ქუჩებზე ბარიკადები აღიმართა. ბერლინის ქუჩებს მუშათა სისხლი რწყავდა.

ორი მაისი: პოლიცია ისევ თავისუფლად დათარეზობდა. გრძელდებოდა მუშათა უბნების დარბევა; სახლის ფანჯრები ტყვიებით იყო ჩაღეწილი. აი ამ მაისობის სურათები:

„აი მუშის ზიულციის ბინა კეზლინერშტრასეზე, № 8. მთელი ბინის ფანჯრებში აღარ დარჩენილა არც ერთი მთელი მინა. იმავე სახლის მეორე ბინაში უცაბედად მოხვედრილმა ტყვიამ ლოგინში მოჰკლა პატარა ბავში. ბავშვის დედა ნერვიულობის ნიადაგზე ქკუაზე შეირყა.“

უფრო საშინელია მეორე ამბავი:

„კეზლინერშტრასეზე მდებარე № 3 სახლის კიბეზე სამი ტყვიით მუცელში დაიჭრა მუშა ალბერტ ჰაიდერი, რომელიც ბერლინში ჩამოსულიყო რამდენიმე დღით. კიბეზე დიდი წითელი ლაქა იყო: სისხლისაგან იწრიტებოდა ჰაიდერი. პოლიციამ რამდენიმე საათის განმავლობაში არავის დართო ნება, რომ მისთვის საექიმო დახმარება აღმოეჩინათ. უბედური მუშა საშინელი ტანჯვა-წამებით გარდაიცვალა.“

ქვაფენილებზე ყრიან დაჭრილი მუშები, მათ შორის **ქალები და ბავშვებიც**, სკემენ მათ. პოლიცია ჯილდოს მოელის ჯალათ ცერგიბელისაგან. მუშები იბრძვიან. ისმის სროლა. ბერლინის ქუჩები სისხლითაა შეღებილი. პოლიცია ისევ ისვრის მოწამილულ ტყვიებს. ისმის ჯავშნიანი ავტომობილების გუგუნუ.

ბერლინის ამბებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მუშებში და მუშის შვილებში. საშინლად ჰკიცხავენ პოლიციის მოქმედებას...

1 მაისს დალუპული გმირები მშრომელმა მასებმა დიდი ამბით დაასაფლავეს. მათა საფლავზე მათ ფიცი დასდეს, რომ იბრძოლებენ იმ იდეისათვის, რისთვისაც დაიხოცნენ ისინი.

1 მაისის ამბები იმის მაჩვენებელია, რომ ახლოვდება ბურჟუაზიული ქვეყნების აღსასრული.

ისტორიის ჩარხის ტრიალს ვერ შეაბრუნებს ცერგიბელი და მისი „სახელოვანი არმია“. **კ. მელაძე**


ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეს ბავშვები დალილავებული თვალებით და დასერილი ტანისამოსით ბრუნდებიან შინ. მუშათა ბავშვებს ძალიან სდევნიან და იმათაც ძალაუბნებურად უხდებთ „მიწყნარება“, გულში კი უგროვდებთ ბოლი და ბრაზი.

ბურჟუაზია ცდილობს ეს ბავშვებიც გადაიბიროს და ამ მიზნით 1928 წელს მხოლოდ გადასცა „ბალილა“-ს 350 ბიბლიოთეკა, გახსნა 500 ფაშისტური სკოლა, რომლებშიც საღამოობით მეკადნიეობენ და სხვ. დააარსეს პირველი დახმარების აუარებელი წრე, აგრეთვე წრეები კავშირგაბმულობის, მოტორისტების და სხვ. „ბალილა“-ს აქვს 1004 სასპორტო დაზაზზე მეტი და ჰყავს 470 სპეციალური ექიმი.

1928 წლის გასულ ფაშისტებმა აუარებელი ფული მისცეს ბალილას წევრთათვის სახლების ასაშენებლად და ასეთი სახლები უკვე შენდება. მაგრამ მუშების ბავშვები განზე არიან გამდგარი, ისინი ამ ანკესზე არ ეგებიან, ისინი დარწმუნებული არიან, რომ მალე დადგება ის დღე, როდესაც მთელი ეს ორგანიზაცია თავისი ოფიცრებით, მღვდლებით და წარჩინების სხვადასხვა ნიშნებით პატრონს ჩაბარდება.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერებს, მუდამ უნდა გვახსოვდენ ჩვენი ამხანაგები, რომელნიც იბრძვიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, და მათ მუდამ უნდა აღმოვუჩინოთ როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივი დახმარება.

„თავისუფლებისთვის“



ცის გოლიათები და ჯუჯები

ცაზე აუარებელ ვარსკვლავს ვხედავთ; ასტრონომ სირსის გამოკვლევით, სულ 3 მილიარდამდე ვარსკვლავია ჩვენს ვარსკვლავთა სისტემაში; ზოგი მათგანი უფრო მკვრივია, ზოგი — ჰაეროვანი, ზოგი მეტისმეტად დიდია, ზოგი კი შედარებით ძალზე პატარაა.

ასტრონომებს აქვთ საშუალება გაზომონ მანძილი ვარსკვლავამდე და გამოარკვიონ ვარსკვლავის სიდადე.

შედარებით პატარა ვარსკვლავები მკვრივია, დიდები კი გაზისებურ მასას წარმოადგენენ, რომლების სიმკრივე საპნის ბუშტში მყოფი ჰაერის სიმკრივეზე რამდენიმე ათასჯერ ნაკლებია.

ყველაზე დიდი ვარსკვლავია ანტარესი, რომლის განი 650 მილიონ კილომეტრს უდრის, ე. ი. ის 93 მილიონჯერ დიდია მზეზე, მეორე დიდი ვარსკვლავი კი — „მირა ცეტი“ — მხოლოდ 50 მილიონჯერ მეტია ჩვენს მზეზე, მაგრამ მისი მასა მილიონჯერ უფრო ნაკლებ მკვრივია წყლის სიმკვრივესთან შედარებით და მხოლოდ 80-ჯერ უფრო მძიმეა მზესთან შედარებით.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩრდილო ამერიკაში აღმოაჩინეს მზის მასაზე 282-ჯერ უფრო მეტი ვარსკვლავი, 1922 წელს აღმოჩენილი ვარსკვლავის პლასკეტას სიკაშკაშე კი 20.000-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მზის ბრწყინვალეობა, მაგრამ არის ისეთი მნათობიც, რომელიც 600.000 - ჯერ სჯობნის მზეს ბრწყინვალეობით.

ბუმბერაზ ვარსკვლავებს გარდა არის მეტად პატარა, ჯუჯა ვარსკვლავებიც, მაგრამ შეუიარაღებელი თვალით არცერთი მათგანი არა ჩანს და ტელესკოპითაც საძნელოა მათი აღმოჩენა, მაგრამ ასტრონომებმა მაინც მონახეს ცის სივრცეში ზოგი მათგანი. მაგ. „კრიუგერის ვარსკვლავი“ მზეზე ორჯერ უფრო პატარაა, ის ჯუჯად ითვლება, იმაზე უფრო პატარა „თეთრი ჯუჯა“ კი მხოლოდ სამჯერ უფრო დიდია დედამიწაზე. ერთი გამოჩენილი ასტრონომის აზრით, ეს ჯუჯებიც მეტად დიდნი იყვნენ წინათ, მაგრამ მრავალი ასი მილიონი წლის განმავლობაში დაჰკარგეს თავისი მასა. ამრიგად, ის მოციმციმე ვარსკვლავები, რომლებითაც არის ცა მოჭედნილია, ასე პატარები რომ ჩანს, ნამდვილად ისე დიდრონებია, რომ მზე მათთან საკოდავი რაღაც გამოჩნდება როგორც სიდიდით, ისე ბრწყინვალეობით, მაგრამ რადგან ის ახლოსა დედამიწასთან, ამიტომ ჩანს დიდი და ბრწყინვალე, დედამიწა კი მზესთან შედარებით სულ ერთი ნამცეცაა, დაახლოებით 1,300.000-ჯერ უფრო პატარა.

კინო-ფილმები სკოლაში.

კინოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: ჩვენ შეგვიძლია კინო-სურათში ვნახოთ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც პირადად ვერასოდეს ვერ ვნახავთ; მაგალითად, საქართველოში აჩვენებდნენ საბჭოთა მფრინავის ჩუხნოვსკის და ყინულისმჭრელი გემების გმირობას, ჩრდილო პოლუსზე გაფრენილი ნობილეს გადასაჩინად გამოჩენილს, და ჩრდილოეთის ყინულის სამეფოს; ამასწინათ კინოებში აჩვენებდნენ სურათს „ჩანგ“, ინდო-ჩინეთის ბუნებისა და ცხოვრების ამსახველს; აქ არის ვეფხვებზე და სპილოებზე ნადირობა, უზარმაზარი გველი — პიტონი, მრავალი მაიმუნი, კისერს რომ იტეხეს ჯუნგლების ხეების ტოტებზე, ვეებერთელა ხელიკი და ადგილობრივი მცხოვრებლების ბრძოლა არსებობისათვის. ვანა რომელ ჩვენგანს შეუძლია ყოველივე ამის ნახვა სინამდვილეში, კინოში კი ამის ნახვა სულ რამდენიმე შაური დაგვიჯდება.

სკოლაში მოწაფეებს ხანდახან ძალიან უჭირსთ ნათლად წარმოდგენა იმის, რაც წიგნებშია დაწერილი, და აქაც კინო გვშველის. ამერიკაში 11.000 მოწაფეზე დაიწყეს ცდის წარმოება (12 ქალაქში); მათ ერთსადაიმთვე საგნებს ასწავლიდნენ, მაგრამ ერთ ნახევარს კინო-სურათებსაც უჩვენებდნენ (გეოგრაფია, მრეწველობა, ბუნებისმეტყველება, ფიზიკისა და ქიმიის ზოგიერთი რთული ცდები და სხვ.), მეორე ნახევარს კი არა. მერე მოწაფეებს დააწერინეს სხვადასხვა საკითხის შესახებ, სულ 100.000-ზე მეტი ნაწერი გაასწორეს და აღმოჩნდა, რომ კინო-სურათების წყალობით მოწაფეების პირველი ნახევარი 24% სჯობდა დანარჩენებს, რომლებსაც კინო-სურათებს არ უჩვენებდნენ. მასწავლებელთა აზრით, კინო-ჯგუფში გაცილებით უფრო ცოტა მოწაფე რჩებოდა მეორე წელს იმავე ჯგუფში და საერთოდ სუსტი მოწაფეც შედარებით ნაკლები იყო.

დროა ჩვენმა კინო-მრეწველობამაც შეიგნოს ეს და სკოლებს მიაწოდოს სათანადო სურათება.

ზებრები და ლომი.

სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობს მეტად ლამაზი ცხოველი — ზებრა, რომელიც ვირს წააგავს, მაგრამ თეთრ ტანზე შავი ზოლები დაუყვება, რის გამოც ის დახატული ჰგონია კაცს. ზებრები მცენარეულობით იკვებებიან, ცხოვრობენ მყუდრო ადგილებში და კლდეების ნაპრალეებში ემალებიან მტერს. ზოგიერთი ჯიშის ზებრები

ყარაულს აყენებენ, რომელიც ამცნოს ხოლმე ამხანაგებს მოახლოვებული საფრთხის შესახებ. როდესაც მტერს დაინახავენ მინდვრად, ზებრები ვიწრო წრეს გააკეთებენ, თავებს ერთმანეთს მიადებენ და წიხლს მოამზადებენ. ვაი იმას, ვისაც მოხვდება მათი მძლავრი წიხლი! სხვა ცხოველები იმდენად ვერაფერს აკლებენ მათ, მაგრამ ძლიერი ლომი კი მათი დაუნდობელი მტერია. ის ლამით ტყეში წევს, დაბინდებისას კი გააზმორებს და გამოდის სანადიროდ. ის მშვენივრად ხედავს ღამე. აი, დაინახა ზებრების ჯოგი და უახლოვდება ისე წყნარად; ისე უხმოდ, რომ ფრთხილი ზებრებიც ვერ გრძნობენ საშინელ საფრთხეს. ბოლოს ისკუბებს ლომი და დაახტება რომელიმე საცოდავ ზებრას, რომლის ძვლები ჭახკუხს დაიწყებს, ჯოგი კი გარბის თავზარდაცემული. ლომი ხარბად სწოვს სისხლს, მერე დაჰვლეჯს ხორცს და შეექცევა. როდესაც გაძლება, ის თავის ბუნავს მიაშურებს, პანტერა და აფთრები კი მის ნასუფრალს მოუღხენენ.

ზებრების მოშინაურება ვერ შესძლო ადამიანმა, ვინაიდან ისინი მეტის-მეტად ჭირვეული და ფრთხილი არიან.

მცურავი კუნძულები ოკეანეში.

მეზღაურებს ხანდახან ოკეანეში მშვენიერი მცურავი კუნძულები ხედებათ. არავენ არ იცის, საიდან მოდიან ისინი, საით მიდიან. ამ კუნძულებზეა ტროპიკული მცუნარეულობა და ხანდახან ცხოველებიც. განსაკუთრებით ხშირია ასეთი კუნძულები სამხრეთ ამერიკაში, უზარმაზარ მდინარე ამაზონკაზე. წყალი ძირს გამოუთხრის მიწას სხვადასხვა მხრიდან და მერე ეს მიწა მოწყდება და მიაქვს წყალს ოკეანესკენ, იქ კი ბოლოსა და ბოლოს ღელვა დაამსხვრევს მას.

მარილის წინაისტორიული მალარობი.

მარილი ადამიანისათვის მეტის-მეტად საჭიროა. ბევრგვარი ცდა ამტკიცებს, რომ უმარილოდ არც ადამიანს და არც ცხოველს არ შეუძლია საესებით ჯანმრთელი იყოს. ამიტომაა რომ გარეული ცხოველებიც კი ძებნიან მარილიან წყლებსა და მიწებს. ამერიკაში ასეთი ცდა ჩაატარეს: 10 ხარს აჭმევდნენ მარილს, 10 ხარს კი არ აჭმევდნენ, საჭმელი კი ერთნაირი ეძლეოდათ და თვითონ ხარებიც ერთნაირი იყვნენ. წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ის 10 ხარი, რომლებსაც მარილს აძლევდნენ, გაცილებით უფრო ლონიერი და ჯანმრთელი იყო, ვიდრე მეორე 10 ხარი, უმარილო საჭმელი რომ ეძლეოდათ.

1572 წელს მარილის მთაში იპოვნეს (ავსტრიაში) გაქვავებული კაცი, რომელიც მშვენივრად შენახულიყო,

წვერ-ულვაში და ტანისამოსიც კი მთელი იყო, ხორცი კი მთლად გაჟღენთილი იყო მარილით და გამხმარი, ავსტრიაში ხალმტადტი ახლა აუარებელ მარილს იძლევა, ეს არის მარილის მრეწველობის ცენტრი. აქ აღმოაჩინეს წინაისტორიული მალარო, სადაც ქრისტეს დაბადებამდე 1000—400 წლის წინათ ამტვრევდნენ ქვამარილს ბრინჯაოს ნაჯახებით და წერაქვებით; მუშებს თავს ადგენ სხვა მუშები, რომლებსაც ხელში ეჭირათ ანთებული კვარი. როცა ერთი კვარი დაიწვოდა, მეორეს ანთებდნენ. აქვე იპოვნეს აუარებელი ნივთი — სამაჯურები, ჭურჭელი და სხვა, რაც მეტად ძვირფასია მეცნიერებისათვის. ამრიგად, არქეოლოგიის საშუალებით ვეცნობით უძველესი დროის ადამიანების ყოფა-ცხოვრებას.

ხელებიანი ფრინველი.

სამხრეთ ამერიკაში არის ფრინველი, რომელსაც ციგნის ქათამს ეძახიან. დიდხანს იმტვრევდნენ თავს მეცნიერები იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფში, რომელ კლასში მოეთავსებინათ ის. როდესაც ასე საძნელო ხდება ამა თუ იმ ცხოველისა თუ ფრინველის კლასიფიკაცია, ის, ცხადია, მეტად თავისებურია. ხოაკტცინას,—ასე ეძახიან ამ ფრინველს ამერიკის წითელკანიანები,—ძალიან ცუდი სუნი უდის, ისეთი, როგორც ნაკელს. ამ სუნის გამო „მყალი ხოხობიც“ ჰქვიან მას. ამა გამო ამ ფრინველებს ცოტა მტერი ჰყავს და მათი გუნდები უდარდელად დადიან მინდვრად, სჭამენ ფოთლებსა და კვირტებს. აგრეთვე ღამში ეძებენ ჭია-ლებს. მათ თოფს ესვრიან, ისინი შეფრთხებიან, მერე ისევ წყნარად არიან იმავე ადგილას. ფრენა ძალიან უჭირს „მყალ ხოხობს“, წონასწორობის შესახავად ხშირად სჭირდება ბოლოსა და ფრთების დახმარება. ის სდებს 2-3 კვერცხს და ახლად გამოჩეკილი ბარტყები უკვე თავისუფლად დახოხავენ ხეებზე, რაც უჩვეულო ამბავია ფრთოსანთა სამეფოში; წიწილები კი, როგორც ვიცით, გამოტყდებიან თუ არა, მაშინვე ყოჩაღად არიან და დარბიან, სჭამენ. ამ ბარტყებს ფრთებზე თითები აქვთ და ამ ფრთებს—ხელებს მოხვევენ ტოტებს და ისე დარბიან ხეზე.

„მყალი ხოხობის“ ბარტყი წყალშიც მშენივრად ცურავს, მიწაზეც დადის, თუმც ნაკლებად ეხერხება ეს და ხშირად თავის „ხელებს“ დაახმარებს ხოლმე, ფრენითაც ფრენს. ცურვა მას შეუძლია წყლის საწინააღმდეგო მიმართულებითაც და ამ დროს ფრთებს—ხელებს ხმარობს ისე, როგორც ნიჩბებს, როდესაც დაჭირდება, წყალში ჩაიყურყუმელავებს და მტერს დაემალება.

რამდენადაც უფრო იზრდება ბარტყი, თანდათან უჭრება ეს თითები და, ბოლოს, სულ გაუჭრება ხოლმე, ვინაიდან ისინი არ სჭირდება ფრენის დროს.



მთელ საბჭოთა კავშირში წარმოებს დიდი მზადება პიონერული შეკრებებისათვის. ყოველ რაიონში, ყოველ ოლქში ჩატარდება ეს შეკრებები, და ყველა შეკრება დასრულებულია პირველი საკავშირო პიონერული შეკრებით მოსკოვში.

ამ უდიდეს კამპანიაში განსაკუთრებულად დიდი როლი უნდა შეასრულოს პიონერულმა კედლის გაზეთებმა.

შეეკითხეთ თქვენს ამხანაგს პიონერს: „იცი რაიმე პიონერულ შეკრებაზე?“ ის ალბათ თავს მოიფხანს და გეტყვის „შეკრებაზე? ეს რაღა შეკრებაა? მე ამის შესახებ არაფერი არ ვამიგია!“

უნდა გამოაფხიზლოთ ყველა რაზმი, ყველა პიონერი; კედლის გაზეთის ახალ ნომერში მთელ გვერდზე უნდა გაკეთდეს მიმზიდველი ლოზუნგი — კითხვა: „**ბავშვებო! რა იცით პიონერული შეკრებების შესახებ?**“

კედლის გაზეთის მთელი ნომერი უნდა მიუძღვნათ შეკრებების აგიტაციას. ისარგებლეთ მასალებით გაზ. „პიონერსკაია პრავდა“-დან, წერილებით ჟურ. „პიონერი“-დან, მონახეთ მასალები ადგილობრივ პიონერთა ბიუროებში და შემდეგ დაწერეთ დაწვრილებით და მოხდენილად შეკრებებზე თქვენს გაზეთებში. მოსთხოვეთ კედლის გაზეთის საშუალებით ხელმძღვანელს, რომ მან თქვენს შორის ჩაატაროს სპეციალური საუბარი შეკრებებზე.

„არცერთი პიონერი არ უნდა დარჩეს შეკრებაზე გამოუძახებელი“, — აი ლოზუნგი ყოველი რაზმის კედლის გაზეთის.

მზადა ხართ თუ არა?

დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ პიონერებმა იციან შეკრების შესახებ და არაფერს კი არ აკეთებენ პიონერული შეკრებისათვის.

უნდა იყო მოთავე და ხელისშემწყობი შეკრებისათვის რაზმის სწრაფად მომზადებაში — აი მეორე ლოზუნგი რაზმის კედლის გაზეთისა.

კედლის გაზეთი თავის ფურცლებზე აწყობს რაზმის მუშაობის მიღწევათა გამოფენას. სარედაქციო კოლეგიასთან ეწყობა მებრძოლი ბავშვორული ჯგუფი. სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით ეს ბავშვორთა ჯგუფი გამოიკვლევს რაზმის მთელ

მუშაობას, აგროვებს საუკეთესო და ყველაზე საინტერესო მიღწევებს, ამ მიღწევათა გამოცდილებას და მასალას გადასცემს სარედაქციო კოლეგიას კედლის გაზეთში გამოყენების მიზნით.

სარედაქციო კოლეგია აწყობს კედლის გაზეთის ფურცლებზე ახრთა გაცვლა-გამოცვლას „**როგორი მიღწევებით წარვდგებით პიონერულ შეკრებაზე?**“ დეე, ყველა ბავშმა გაარკვიოს, რა შევარჩიოთ რაზმის მუშაობაში, რა მიღწევები აღვნიშნოთ, უკეთ როგორ გავაშუქოთ ეს, როგორი დიარამები გაკეთდეს, რა ნივთები გამოვფინოთ და სხვ.

კედლის გაზეთის გზითვე დასახელდება და შეიჩრჩევა პიონერული შეკრების დელეგატების კანდიდატურები.

ცხადია, რომ დიდი კედლის გაზეთი, რომელიც თავში ერთხელ ძლიერს გამოდის, ვერ შესძლებს ამ დიდი მუშაობის ჩატარებას. ამიტომ თავი უნდა დავაღწიოთ დიდ გაზეთებს და შევცვალოთ ისინი პატარა, ხალისიანი და ამავე დროს უბრალო კვირეული გაზეთებით. უნდა გამოვუშვათ ყოველგვარი ფურცელი, ბიულეტენი, პლაკატი ცნობებით და სხვ.

„სკოროსპელკა“

ორი კვირის წინად გაზეთ „პიონერსკაია პრავდა“-ში მოთავსებული იყო პატარა შენიშვნა იმის შესახებ, რომ რუსეთში ერთ-ერთ პიონერულ კონფერენციაზე გამოდიოდა კედლის გაზეთი „სკოროსპელკა“, რომელიც კონფერენციის მუშაობას სისტემატიურად აშუქებდა. კონფერენციის მუშაობის განმავლობაში გამოშვებულ იქნა გაზეთის ხუთი ნომერი.

ასეთივე გაზეთი გამოდიოდა კომკავშირის ტფილისის სამაზრო-საქალაქო უკანასკნელი კონფერენციის დროს.

ეს განსაკუთრებულად საინტერესო, საყურადღებო და მნიშვნელოვანი გამოცდილება სასურველია გამოიყენოს ყველა პიონერულმა შეკრებამ. ყოველი პიონერული შეკრება უნდა უშვებდეს თავის კედლის გაზეთს.

კედლის გაზეთი უნდა იყოს ცოცხალი და პატარა, რომელიც ყოველდღე გამოდის, ზოგჯერ დღეში ორჯერაც და ხალისიანი ფორმებით გააშუქებს პიონერული შეკრებების მთელ მუშაობას.

საგზაო კომიუნიკაციების თაგაუი



ქალაქის მცხოვრებლების თავდაცვა მოწამლულ-
გაზებიანი ჰაეროპლანის თავდასხმის დროს.

მოთამაშეთა შორის როლები შემდეგნაირად ნაწილ-
დება.

წითლების მხარე:

თავდაცვის უფროსი ირჩევა; მასთან იმყოფება:

ა) ერთი ტელეფონისტი, ბ) ერთი სიგნალისტი, ვ) ათი
კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც მომზადებულია
გაზებით მოწამლული მიდ-მოების გასაწმენდად. ამის გარდა
წითლებს ჰყავთ გუშაგთა გუნდი, 10 კაცისაგან შემდგარი,
და მათი უფროსი (გუნდი იქნება 2-წყობიანი, თითო
წყობაში 5 კაცი). გუშაგთა გუნდს თან ახლავს ტელეფონ-
ისტიები და ველოსიპედისტები, 5 კაცი; თითო პუნ-
ქტზე თითო კაცია. სასურველია, თუ ბავშვებს ექნებათ
ველოსიპედები, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ამოირ-
ჩიონ კარგი მორბენალები. საჭიროა კიდევ 10 ინსტრუ-
ქტორი და სანიტარული რაზმი. დანარჩენი პიონერები
ქალაქის მოსახლეობას წარმოადგენენ.

თეთრების მხარე:

10 ჰაეროპლანი (ჰაეროპლანის ზუსტად, ხმაური შეი-
ძლება წარმოადგინოთ სატკაცუნეებით, დოლებით). ამის
გარდა—თვალყურმდევნელი თამაშის სწორად ჩატარე-
ბისათვის. თამაში იწყება იმით, რომ თავდაცვის უფროსს
ატყობინებენ ომის გამოცხადებას და იმასაც, რომ მო-
წინააღმდეგეთა ბანაკში მზადება წარმოებს.

ამ დროს თეთრების 5 ჰაეროპლანი (პიონერები
სატკაცუნეებით) წინდაწინვე აღნიშნულ პუნქტზე მიე-
მართება.

თავდაცვის უფროსი აძლევს განკარგულებას, რომ
სიგნალისტმა მისცეს ჯარს ნიშანი (განგაში). მაშინვე
იკრიბებიან მთელი წითელი მხრის მონაწილენი, რომ-
ლებსაც აცნობებენ, რომ ქალაქს საფრთხე მოელის თეთ-
რების მხრივ.

წითლების თავდაცვის უფროსი უბრძანებს გუ-
შაგების რაზმს, ტელეფონისტებს და ველოსიპედისტებს,
რომ იმათ დაიკავონ წინადაწინ აღნიშნული 5 პუნქტა

— საგუშაგოები. იმათ დავლებული აქვთ თვალყური
აღწეონ მტრის (ჰაეროპლანების) მოახლოებას და თავის
დროზე აცნობონ უფროსს.

„ავიაციის“ ინსტრუქტორები უხსნიან ხალხს გა-
ზების საწინააღმდეგო ნიღბების ხმარებას (ნიღბების მა-
გივრად ხმარობენ ცხირსახოცებს).

ინიშნება რამდენიმე პირი (2-3) ორგანიზაციულად
გაქცევის მოსამზადებლად თავშესაფარში (თავშესაფრად
აიღება ან კლუბი, ან სკოლა), რომლის ახლო მოთავსდება
სანიტარული რაზმი, სადაც სანიტარულ რაზმს მოჰყავს
მოწამლული და დაშავებული ჯარისკაცები.

შემდეგ, როდესაც მცხოვრებლებს აუხსნიან ავია-
კომიუნიკაციის თაგაუის წესებს, მათ გაუშვებენ სა-
ხლებში.

დანიშნულ დროზე, რომელიც იციან მხოლოდ
ჰაეროპლანებმა, გადადიან შეტევაზე ქალაქის 5 აღნიშნულ
გამაგრებულ პუნქტზე. ყოველ პუნქტს თითო ჰაეროპლანი
ეცემა.

როგორც კი პუნქტის დამცველები შეამჩნივენ
ჰაეროპლანების მოახლოებას, ტელეფონისტები, ველოსი-
პედისტები იმ წამსვე აცნობებენ ქალაქის თავდაცვის
უფროსს ამის შესახებ, რომელიც გასცემს განგაშის ასა-
ტეხად ბრძანებას.

ქალაქის მცხოვრებნი იკეთებენ ნიღბებს და
იმალებიან შენობებში, როდესაც გამაგრებულ პუნქტებს
ეცემა 5 ჰაეროპლანი მოწამლული გაზებით; ამის შემდეგ
მოდის შიგ ქალაქში დანარჩენი 5 ჰაეროპლანი, რომლებიც
ჰყრიან ყუმბარებს. შემდეგ იწყება სროლა, ან რაიმე
ბრაზუნი, რის შემდეგ ჰაეროპლანები გარბიან ქალაქიდან.
იმ ადგილებზე, სადაც ყუმბარები გასკდა, ინსტრუქტო-
რები მოაბნევენ კირს, შემდეგ მცხოვრებლებს უცხადებენ,
რომ საშიში აღარაფერია და შეუძლიათ დასტოვონ
თავშესაფრები.

გ. მახარაძე.